ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი სამშაბათი 27 მაისი № 121 (17764) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კოლექტივს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის ქიმიური პროფილის უძველესი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ კოლექტივს სახელოვან თარიღს — ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს.

განვლილ პერიოდში ინსტიტუტმა დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში ქიმიის მეცნიერების, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ქიმიური მრეწველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მაღალკვალიფიციური კადრებისა და ქიმიკოსი სპეციალისტების აღზრდაში. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შექმნილი ზოგიერთი სამეცნიერო ლაბორატორია შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცალკეულ ინსტიტუტებად გადაიქცა.

თქვენი კოლექტივი ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური პოზიციით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაში. ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის შედეგები და ნამუშევრები წარმატებით გამოიყენებოდა და გამოიყენება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, გარემოს დაცვის, ახალი მაღალეფექტიანი მასალების წარმოების საქმეში. ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ახალი ტექნოლოგიური პროცესების დადებითი თავისებურებაა მეტწილად ამოსავალ მასალად ადგილობრივი არადეფიციტური ნედლეულის ან წარმოების ნარჩენების გამოყენება.

ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის შედეგები და ნაშუშევრები, რომლებიც მრავალი სამეცნიერო სტატიის, მონოგრაფიის, თემატური კრებულის, შრომის სახით დაიბეჭდა, ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ხოლო აღმოჩენების პრიორიტეტს ადასტურებს 150-ზე მეტი საავტორო მოწმობა და 9 პატენტი.

ინსტიტუტი ავითარებს და აღრმავებს მჭიდრო შემოქმედების კონტაქტებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების, უწინარეს ყოვლისა, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო ინსტიტუტებთან, აფართოებს საერთაშორისო მეცნიერული ურთიერთობის გეოგრაფიას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმობა მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დაძაბულად და შთაგონებით შრომობენ სკკპ XXV ყრილობის ამოცანების გადასაწყვეტად და ემზადებიან ღირსეულად, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ინსტიტუტის კოლექტივს უსურვებენ ღირსეული წვლილი შეიტანოს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაუსახა საბჭოთა მეცნიერებას, წარმატებით განახორციელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიებანი, და გამოთქვამენ რწმენას, რომ ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივი კვლავაც მოახმარს მთელ თავის ძალღონეს, ენერგიას და გამოცდილებას მიღწეულ წარმატებათა შემდგომ განვითარება-გამრავლებას, კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის, გარემოს დაცვის ამოცანების გადაწყვეტაში, უფრო სრულად გამოავლენს და გამოიყენებს ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ᲣᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ — ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

470.000 ტონა ჩაისათვის!

ცხაკაიელ მეჩაიეთა თაოსნობის პასუხად!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1980 წლის პირველ კვარტალში კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1980 წლის პირველ კვარტალში კაპიტალური მშენებლობის ობიექტების ამოქმედებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით:

„მშენინდუსტრიის“, საშენი მასალების, მექანიზაციის №№ 3, 7, 8, 14 ტრესტები, რუსთავის სახლთსაშენებელი კომბინატი.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით:

№ 12 ტრესტი.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველოს ხაზით:

„მონტაჟთერმონაწარმის“ თბილისის სამმართველო, „მრეწველტილაციის“ თბილისის სამმართველო და გორის მოძრავი მექანიზებული კოლონა.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით:

სამრეწველო გაერთიანება „საქარმადნეული“, თბილისის საშენ მასალათა კომბინატი, თბილისის კერამიკული კომბინატი, სოხუმის მარმარილოს მაღაროსამმართველო, სალიეთის მარმარილოს მაღაროსამმართველო.

ტრესტი „კავკასელექტროქსელმშენი“.

აღინიშნა იმ ტრესტების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ობიექტების ამოქმედებისა და ასამუშავებელ ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულება:

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით:

„სპეცმშენის“ №№ 4, 5, 6, 11 ტრესტები, ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატი.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით:

№№ 1, 3, 5, 6, 7, 8 ტრესტები.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით:

გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი, სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატი, გურჯაანის აგურის ქარხანა.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველოს ხაზით:

„ფოლადკონსტრუქციების“ რუსთავისა და ქუთაისის სამმართველოები, „სანტექმონტაჟის“ ქუთაისის სამმართველო. (საქინფორმი).

1980 წლის პირველ კვარტალში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და 1980 წლის 1 კვარტალში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს:

I ზონაში

წითელწყაროს რაიონი — პირველი ადგილი
მარნეულის რაიონი — მეორე ადგილი
გარდაბნის რაიონი — მესამე ადგილი

II ზონაში

ქარელის რაიონი — პირველი ადგილი
ლენინგორის რაიონი — მეორე ადგილი
მცხეთის რაიონი — მესამე ადგილი

III ზონაში

ყაზბეგის რაიონი — პირველი ადგილი
ბოგდანოვკის რაიონი — მეორე ადგილი
დუშეთის რაიონი — მესამე ადგილი

IV ზონაში

შუახევის რაიონი — პირველი ადგილი
ლენტეხის რაიონი — მეორე ადგილი
მესტიის რაიონი — მესამე ადგილი

V ზონაში

მაიაკოვსკის რაიონი — პირველი ადგილი
ქ. ტყიბულის ზონა — მეორე ადგილი
ზესტაფონის რაიონი — მესამე ადგილი

VI ზონაში

აბაშის რაიონი — პირველი ადგილი
მახარაძის რაიონი — მეორე ადგილი
ჩხოროწყუს რაიონი — მესამე ადგილი

VII ზონაში

ხელვაჩაურის რაიონი — პირველი ადგილი
გულრიფშის რაიონი — მეორე ადგილი
ქ. გაგრის ზონა — მესამე ადგილი.

(საქინფორმი).

ᲢᲔᲛᲞᲘ, ᲢᲔᲛᲞᲘ, ᲩᲐᲘᲩᲐᲘᲔᲑᲝ!

„ᲒᲣᲨᲘᲜ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ“

ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს ენერგია გაუორკეცა, სიმხნევე შემატა ახალმა გამარჯვებამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გულითადმა მილოცვამ.

რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების ოსტატები წარმატებით უტევენ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნებს, ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას იმისათვის, რომ ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სულ ცოტა 440 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული დაამზადონ. ახლა ჩაის კრეფაში გადამწყვეტი მომენტია. უნდა გაძლიერდეს კრეფის ტემპი.

მახარაძე. ამინდის გამოკეთების კვალობაზე აქ დღითი დღე მატულობს ჩაის კრეფის ტემპი. გუშინ ჭაურმა მეჩაიეებმა 1260 ტონა ჩაის ფოთოლი დამზადეს. რაიონში უამინდობის გამო ჯერჯერობით მხოლოდ 5 ათას ტონამდე ჩაის ფოთოლია მოკრეფილი, მაგრამ მახარაძელები ამ ჩამორჩენას მალე დაძლევენ. საამისოდ უკვე შემუშავებულია სპეციალური გრაფიკი, მობილიზებულია შრომითი და სატრანსპორტო რესურსები, რომელთა რაციონალურ გამოყენებას სათავეში უდგას შტაბი პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ხელმძღვანელობით. ყოველივე ამის საფუძველზე მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ 1 ივლისისათვის მოკრიფონ 46 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 1.500 ტონით მეტი იქნება.

ქობულეთი. რაიონის ცეცხლაურის და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში უკვე გადაამეტეს ჩაის კრეფის შარშანდელ დღიურ მაჩვენებელს. გუშინ ამ მეურნეობებში 50-59 ტონა ჩაის ნედლეული დაამზადეს, სულ კი რაიონში — 600 ტონაზე მეტი. 2-3 დღის შემდეგ ქობულეთელები დღეში 745 ტონა ფოთლის მოკრეფას ვარაუდობენ, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ მათ 15 ივნისისათვის შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 41 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი ექნებათ მოკრეფილი.



სურათებზე: „საქსახსოფლტექნიკის“ აბაშის რაიონული გაერთიანების მარნის საწარმოო განყოფილების № 2 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ახობაძე (მარცხნიდან), განყოფილების მმართველი თემურ დუნდუა და ქოლობნის შერეულეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ა. ჯიბლაძე ამოწმებენ მოთიბულ ბალახს; სათიბში.

Ვ. ᲒᲔᲜᲖᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ფრენის მართვის ცენტრი, 24 მაისი. (საკდესი). თვენახევარია ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი მუშაობენ „სალუტ-6“-„სოიუზ-35“ ორბიტულ კომპლექსში.

მთელი ფრენის მანძილზე აღინიშნება კოსმონავტთა მაღალი პროფესიული მომზადება და შრომისუნარიანობა. სადგურში განხორციელებული მნიშვნელოვანი მოცულობის პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად ეკიპაჟი წარმატებით ასრულებს სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის დაგეგმილ პროგრამას.

„კრისტალის“ დანადგარზე განხორციელდა მორიგი ექსპერიმენტი კოსმოსურ მასალათმცოდნეობაში, რომლის მიზანი იყო უწონობის პირობებში ნახევარგამტარი მასალის გალიუმარსენიდის მონოკრისტალის მიღება.

მცირეგაბარიტიანი გამა-ტელესკოპის „ელენეს“ დახმარებით კოსმონავტებმა შეასრულეს დედამიწისირგვლივ კოსმოსური სივრცეში გამა-გამოსხივების ნაკადების გაზომვის მორიგი სერია და ხელსაწყო მომზადეს შემდგომი ექსპერიმენტებისათვის.

ფრენის მართვის ცენტრის სამედიცინო პერსონალი რეგულარულად ამოწმებს ეკიპაჟის ჯანმრთელობას. დღეს, კერძოდ, მიმდინარეობს ფიზიკური ვარჯიშის შესრულების დროს კოსმონავტთა გულისა და სისხლძარღვების სისტემის შემოწმება. პორტატიული ხელსაწყო მაგნიტურად იწერს ელექტროკარდიოგრამას, რომელსაც შემდეგ რადიოკავშირის სეანსების დროს გადმოსცემენ დედამიწაზე.

დღის განრიგით გათვალისწინებულია აგრეთვე დედამიწის ზედაპირის ვიზუალური შესწავლა და ფოტოგადაღება, საუბარი სახალხო მეურნეობის სპეციალისტებთან, სადგურის სათავსოთა დალაგება, მსახიობებთან შეხვედრა.

ტელემეტრიული გაზომვების შედეგებით „სალუტ-6“ სადგურისა და „სოიუზ-35“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ᲛᲔᲢᲘ ᲮᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ!

ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲒᲝᲠᲨᲘ

დიდად უნდა გაისარჯოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები, რათა თავი გაართვან ხილის წარმოებისა და დამზადების დავალებას, დაფარონ გასული წლების დანაკლისი, მთლიანად შეასრულონ ხუთწლედი. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შექმნისათვის, ფერმების პროდუქციის გაზრდისათვის.

ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის ოპერატიულობის ამაღლებას მიეძღვნა ქარელისა და სამხრეთ-ოსეთის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ზონალური თათბირი.

თათბირზე ინფორმაციები წაიკითხეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. აბრამაშვილმა, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ოდიშვილმა, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. დათიაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. კილასონიამ, საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვალიაშვილმა, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მეორე მდივანმა ზ. ანთაძემ, დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. წოკლაურმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორმა მ. გვრიტიშვილმა, „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჭყონიამ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ უფროსის მოადგილემ ი. ცომაიამ, გორის რაიონის სოფელ შინდისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. სადაღაშვილმა, გორის რაიონის სოფელ ბერშუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. მეგრელიშვილმა, ქარელის რაიონის რუისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა თ. თხელიძემ.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ქართლის რაიონების მეხილეებს კარგად ესმით თავიანთი ამოცანები ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. [illegible] ოზულობით [illegible] შესრულებას. [illegible] ადგილებში დამოთავრდა საძუშაოები ბაღებში, სწრაფად მიმდინარეობს შხამქიმიკატებით ნარგავების შეწამვლა, ორგანული სასუქების შეტანა. მეხილეები ყველაფერს აკეთებენ, რათა აღმოფხვრან ბაღების სიმეჩხრე. ამასთანავე აღინიშნა, რომ ხშირმა წვიმებმა მთელ რიგ მეურნეობებში წარმოქმნა ხეხილის დაავადებათა კერები. მათი ლიკვიდაციისათვის საჭიროა ბაღების გაძლიერებული წამლობა.

რაიონებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებმა, აღინიშნა თათბირზე, ჯეროვნად ვერ შეიგნეს პირადი პასუხისმგებლობა მოსავლის ბედისათვის, ისინი ოპერატიულად ვერ წყვეტენ წამოჭრილ საკითხებს. მაგალითისათვის ავიღოთ მექანიზატორთა ნაკლებობის პრობლემა. იგი ახალი არ არის და მისი შედეგების განჭვრეტა აღრევე შეიძლებოდა. ახლა კი, როცა რეალური საფრთხე შეექმნა ბაღებს, შეიძლება და კიდეც უნდა მოვუხმოთ დასახმარებლად საქართველოს სხვა რაიონების მექანიზატორებს, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველი პერიოდი უკვე დამთავრდა, მომდევნო კი ჯერ არ დამდგარა.

უკვე დღეს სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ხილის კრეფის ორგანიზაციაზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ აქ, როგორც გასული წლების პრაქტიკამ ცხადყო, ბევრი ნაკლია.

დიდძალი ხილი ფუჭდება იმის გამო, რომ მკრეფავები არა ჰყავთ. ახლა ხილის დაგეიანებით აწყდიან გადამუშავებელ საწარმოებს. მეხილეთა დასახმარებლად უნდა მოვუხმოთ სტუდენტებს, უფროსი კლასების მოსწავლეებს. ჩვენი ახალგაზრდობა, კომკავშირი ყოველთვის ეხმარებოდა სახალხო მეურნეობას, და დიდი სიხარულით დაგვეხმარება ამ დიდმნიშვნელოვან საქმეშიც.

თათბირის მონაწილეების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მინერალური სასუქების, კერძოდ, აზოტის ნაკლებობამ. წელს განსაკუთრებით სწრაფად აყვავდა ხეხილის ბაღები. მასაზრდოებელ ნივთიერებათა დეფიციტის შესავსებად საჭიროა ნიადაგში შეეტანოთ აზოტის დამატებითი დოზები.

გაერთიანება „საქსოფლქიმიამ“ ოპერატიული ღონისძიებანი უნდა განახორციელოს ბაღების ამ „ვიტამინით“ მეხილეობის რაიონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

თათბირზე სერიოზული სჯა-ბაასი იყო მეცხოველეობისა და საკვებწარმოების პრობლემებზე. უახლოეს დღეებში დაიწყება ბალახის თიბვა და სენაჟის დამზადება. სამუშაოდ გამზადებულია ტექნიკა. რაიონების მშრომელებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს საკვებწარმოების დარგში. მაგალითად, ხაშურელებმა ივალდებულეს გეგმით გათვალისწინებული 3.500 ტონა უხეში და წვნიანი საკვების ნაცვლად დამზადონ 50 ათასი ტონა.

თათბირზე გამოვლინდა საკვებწარმოებაში არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები. პრეტენზიები წაუყენეს „საქსახსოფლტექნიკას“, რომელიც მეურნეობებს საკმაო რაოდენობითა და ასორტიმენტით არ აწვდის მანქანების საჭიროებისა და ასორტიმენტით არ აწვდის მანქანების საჭიროებისა და ასორტიმენტით. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ამ ორგანიზაციაში ჯერ ბოლომდე ვერ ამოქმედებულა ეკონომიკური ბერკეტი. ეს ბერკეტი ეფექტიანად ამოქმედებულ იქნა ბალახის ბალიანებისა და ბალიანების ფასებზე

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

— ასე გადაწყვიტეს ბოლნისში გამართული ზონალური თათბირის მონაწილეებმა, რომლებმაც განიხილეს საკითხები, თუ როგორ მოემზადონ საადრეო კარტოფილის მოსავლის აღებისათვის, მისი დამზადებისა და რეალიზაციისათვის რესპუბლიკაში ამ ძვირფასი კულტურის მწარმოებელი წამყვანი რაიონების მეურნეობებში.

81 ათას ტონას შეადგენს სახელმწიფოსათვის საადრეო კარტოფილის მიყიდვის გეგმა, რომელიც ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მეურნეობებმა უნდა შეასრულონ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ამ რაიონების მეკარტოფილეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი კი ახლა აღემატება ასიათასიან მიწას. მარტო ბოლნისელი უხვი მოსავლის ოსტატები გეგმით გათვალისწინებული 45 ათასი ტონის ნაცვლად აპირებენ დამატებით დამზადონ კიდევ 20 ათასი ტონა კარტოფილი. ლენინურ დამკვრელურ წელს დავალების არსებითი გადამეტების გარანტიას იძლევიან მარნეულელებიც, რომლებმაც, ისევე როგორც ბოლნისელებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტების საადრეო კარტოფილით სრულ უზრუნველყოფასთან ერთად, თავიანთი მოსავლის მეტი ნაწილი უნდა გაგზავნონ საერთო-საკავშირო ფონდში. მოსკოვსა და ლენინგრადში, ქვეყნის სხვა ოლიმპიურ ქალაქებში გადაწყდა გაიგზავნოს 60 ათასი ტონა კარტოფილი, გეგმით გათვალისწინებული 46 ათასი ტონის ნაცვლად.

ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მინდვრის მშრომელთა ასეთ მაღალ მიჯნებს მტკიცე საფუძველი აქვს. ისინი რეალური გახდა იმის მეოხებით, რომ რესპუბლიკაში თანამიმდევრულად ხორციელდება საადრეო კარტოფილის წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. ამ მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობების გაზრდა, მისი მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის წესების ზუსტად დაცვა, სათესლე მასალის გულდასმით შერჩევა იმის საწინდარი გახდა, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს. და ეს დაგვიანებული გაზაფხულის, წვიმების მიუხედავად, რომლებმაც შეაფერხეს კარტოფილის აღმოცენება. ამინდის ჯირკვულობას მინდვრის მშრომელებმა დაუპირისპირეს დამკვრელური შრომა. იყენებდნენ რა ყოველ დარიან დღეს, მათ გულდასმით დამუშავეს ნათესები, ჩაატარეს მწკრივთშორისების კულტივაცია, დამატებით შეიტანეს მინერალური სასუქები. მთავრდება მცენარეთა მიწის შემოყრა. ახლა ამოცანა ის არის, რომ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ უზრუნველყონ მთელი მოსავლის აღება, მისი დამზადება და რეალიზაცია.

სწორედ ეს ამოცანები განიხილა ბოლნისის ზონალურმა თათბირმა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები, მეკარტოფილეობის მეურნეობათა დირექტორები და პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, საბჭოთა მეურნეობების აგროგანყოფილებათა მმართველები, ბრიგადიერები, მერგოლურები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები.

მოსავლის აღების კამპანიისათვის მზადების ღონისძიებებზე, იმ მტკიცე გადაწყვეტილებაზე, რომ პირნათლად შეასრულონ საადრეო კარტოფილის რეკორდული მოსავლის მოყვანისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებები, ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ი. ხაზარაძემ, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბ. მემარნიშვილმა, მარნეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნ. დ. სინჯიაშვილმა, ბოლნისის რაიონის არუხლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. ი. ვადაჭკორიამ, ამავე რაიონის ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა უ. ო. გუსეინოვმა, მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვების“ დირექტორმა ქ. ს. მამედოვმა, „საქსახსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული გაერთიანების მმართველმა ზ. ს. ზახბაზოვმა, ბოლნისის რაიონის სარაჩლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ე. მ. ემინოვმა. აღინიშნა, რომ ადგილებზე გამზადებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შედგენილია მოსავლის აღების და პროდუქციის გაგზავნის გრაფიკები, მთავრდება მისასვლელი გზებისა და სასასწორო მეურნეობის რემონტი. მიღებულია ზომები სოფლის მშრომელთა კვების სანმაუშო ორგანიზაციისათვის, სამედიცინო დახმარების გაწევისათვის, ყველა რგოლში დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ამავე დროს ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს არსებულ ნაკლოვანებებს ალოობისათვის მზადების მიმდინარეობაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ აკლიათ ტრაქტორები და კარტოფილის ასაღები ტექნიკა, ავტოტრანსპორტი ადამიანთა გადასაყვანად და მინდვრებიდან მოსალოდნელი მოსავლის გამოსაზიდად, ავტომაწყანების მისაბმელები და სათადარიგო ნაწილები. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რეფრიჟერატორული სექციებისა და ვაგონების შეუფერხებელ მიწოდებას შორ მანძილზე კარტოფილის ტრანსპორტირებისათვის, პროდუქციის დაცვა-შენახვისა და კარგი ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავმჯდომარემ დ. დ. მაღალაშვილმა, „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ მ. ი. თევდორაშვილმა, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ ა. ა. კვანტალიანმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ა. დ. გასანოვმა, „საქსოფლდამზადების“ თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გ. ჩარგეიშვილმა, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის ინსპექციის უფროსმა ა. კ. მაკაროვმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. ნ. დავითაშვილმა, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯ. ვ. ქაჯაიამ საფუძვლიანად, სამედიანად ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ემზადებიან მათი კოლექტივები იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში ამომქმედონ ყველა რეზერვი, რათა ორგანიზებულად დაამთავრონ მოსავლის აღების კამპანია, ყველაფერი იღონონ საადრეო კარტოფილის უხვი მოსავლის მოსაყვანად, მისი ხარისხიანი დამზადებისა და ოპერატიული რეალიზაციისათვის. თითოეული მეურნეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით იკისრეს დამატებითი ვალდებულებანი ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში მთელი მოსავლის აღების კამპანიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. გადაწყდა აამქმედონ ყველა არსებული რეზერვი და შესაძლებლობა, რათა ალოობის დაწყებიდანვე — ივნისის პირველი რიცხვებიდანვე — საადრეო კარტოფილის აღება, დამზადება და რეალიზაცია მიმდინარეობდეს მაღალორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ. (საქინფორმი).

ნარმოების მაღალი კულტურისათვის

ბევრი კარგი საქმე გააკეთა თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟეთა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც მანანა ბურდული ხელმძღვანელობს. ბრიგადამ მეათე ხუთწლედის გეგმა ოთხ წელზე ნაკლებ ხანში შეასრულა. ქალიშვილებმა კიდევ უფრო უმატეს შრომის ტემპს და გადაწყვიტეს სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების მეორე წლისთავისათვის მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება შეასრულონ.

ახალგაზრდულ კოლექტივს წარმოების მაღალი კულტურისა და სანმუშო დისციპლინის ბრიგადის წოდება მიენიჭა.



სურათზე: თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ): ნინო ბარამაშვილი, მარინე ოგანეზოვა, ბრიგადირი მანანა ბურდული, ლამარა ტოგოშვილი და ლალი კობერიძე.

ვ. ბორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვინ რით ხვდება პარტიის XXVI ყრილობას?

დაუკლეველი არაფერია

ვეხმაურებით წერილს „ჩვენი აქტიური პოზიცია“

დრო გასაოცარი სისწრაფით მიქრის. ხუთწლედის ბოლო, დამაგვირგვინებელი წელი თითქოს გუშინ დაიწყო, და აი, უკვე მისი მეორე კვარტალის ნახევარიც უკან ზოვიტოვეთ...

როგორც შარშან გაზეთ „კომუნისტში“ თბილისელი მუშა კომუნისტი შ. ჯობაძე წერდა, რაც დრო გადის, რაც უფრო ვუახლოვდებით პარტიის XXVI ყრილობას, მით უფრო ცხადად შეიგრძნობა თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა უკვე გაკეთებულის, მიღწეულისათვის, აგრეთვე იმისათვის, რის მოგვარებაც ვერ შეიძლებოდა, რასაც ახლა უნდა შეეკეთებოთ.

ჩვენი საწარმოს, — ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთასამართველოს — პირველად პარტიულ ორგანიზაციაში ამის თაობაზე ხშირად გვქონია საუბარი. ამაყოფილებით ვამბობ, რომ ჩვენი სამთოელები წინათაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საწარმოო დავალებათა შესრულებას და მათ ახლაც კარგად იციან, რომ თუ აქატის ან დიატომიტის ამოღების დავალება ვერ შეასრულეს, ამით ვერ ეგმების შესრულებაში ხელი შეეშლებათ იმ სამრეწველო საწარმოებსაც, რომლებსაც ეგზავნებიან ეს ძვირფასი ნედლეული. ასეთი საწარმოები კი ცოტა რადია.

ახალციხური აქატი ძირითადად იგზავნება ორჯონიკიძის ზუსტი ხელსაწყოებისა და უგლიჩის საათის ქარხნებში. დაფქულ დიატომიტს ვაწვდით ქვეყნის 14 ქალაქის სხვადასხვა სამრეწველო საწარმოს, ხოლო ნატეხ დიატომიტს — რუსთავისა და ტაუზის ცემენტის ქარხნებს.

ახალციხური დიატომიტის ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელი — რუსთავის ცემენტის ქარხანა ამ ძვირფას ნედლეულს იყენებს ენგურჰესის მშენებლობისათვის ჰიდროკვანძენტის დასამზადებლად. ასე რომ, საოკუნის ამ უნიკალურ მშენებლობაში ჩვენს სამთოელებსაც შეეძვნა წვლილი.

ამ ბოლო დროს დიატომიტის მომპოვებლები სულ უფრო აუმჯობესებენ მუშაობას — დიდი გადაჯარბებით ასრულებენ დიატომიტის მოპოვების და მისი რეალიზაციის გეგმა-დავალებებს, შარშანაც წარმატებით შესრულდა გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, ხოლო წელს ოთხ თვეში გეგმით გათვალისწინებული 21.820 ტონის ნაცვლად 25.616 ტონა დიატომიტია მოპოვებული.

ეს სულაფერი თავისით არ მოსულა. არის მომენტები, როდესაც ძალიან გვიჭირს. სწორედ მაშინ იჩენს ხოლმე თავს პარტიული ორგანიზაციისა თუ პარტიული ჯგუფის, თითოეული კომუნისტის ავანგარდული როლი. არ დამავიწყდება: წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ მუშახელის ნაკლებობის გამო დიატომიტის ამოღების გეგმის შესრულებას სერიოზული საფრთხე შეექმნა. საჭირო იყო სასწრაფოდ გაგვეხორციელებინა რიგი კონკრეტული ღონისძიება. მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო, დადგა კრიზისული მომენტი: მუშახელი რომც შეგვეყროვებინა, მათთვის სამუშაო ფრონტი არ გვქონდა.

და აი, დიატომიტის შახტის პარტიული ჯგუფის წევრებმა: ს. მოდებაძემ და ბ. კაპანაძემ წამოაყენეს წინადადება, რომ დიატომიტის ფენა, რომელსაც მიწის ზედაპირზე ჰქონდა ადამსავალი, დაგვემუშავებინა ღია წესით, მეჩანიზებულად.

კომუნისტთა ამ წინადადებას მალე საქმეც მოჰყვა და შახტში მცირე ხნის მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ მაჭოლაც მოზიდეს დიატომიტი.

ამან სამუალება მოგვცა არა მარტო შეგვესრულებინა დიატომიტის მოპოვების წლიური დავალებები, არამედ მნიშვნელოვნად გაგვეფაფეზინა მისი წარმოება. ტონა დიატომიტის თვითღირებულება 12 მანეთიდან 4 მანეთამდე შევამცირეთ, რამაც, რასაკვირველია, დიდი მოგება მოგვცა.

მაგრამ ჩვენი წარმატებები ძირითადად დიატომიტის კარიერის დამსახურებაა. სამწუხაროდ, მას მხარს ვერ უბამს დიატომიტის საბადო და აქატს კარიერი. ხუთწლედის ბოლო, დამაგვირგვინებელი წლის პირველი ოთხი თვის გეგმები ვერც ერთმა ვერ შეასრულა. განა წარუმატებლობის დროა ახლა, როდესაც მხოლოდ ხახვარ წელიწადზე ცოტა მეტი დარჩა პარტიის დიად ფორუმამდე, რომლის ღირსეული შეხვედრისათვის მზადება თითოეული კომუნისტის ღვიძილი საქმეა?

დიატომიტის საბადოში წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი ისევ და ისევ დისციპლინის შესუსტებაა. აქ ჯერ ისედაც იმაზე ორჯერ ნაკლები მუშახელი ჰყავთ, ვიდრე ესაჭიროებათ; ვინც არის, ისინიც სისტემატურად იგვიანებენ, ცვლის ბოლოს კი სამუშაო საათების დამთავრებამდე ტოვებენ სამუშაოს. დროის დაკარგვას იწვევს ისიც, რომ ერთი ცვლა მეორეს უხარისხო, მოუმზადებელ სამუშაოს აბარებს.

აქატის კარიერს ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი მოძველებული ტექნიკაა. მექანიზმების სიძველის და უკმარისობის გამო აქ სამთო-მოსამზადებელი სამუშაოები ჩამორჩება, ამასთან თითქმის არ წარმოებს გადასახსნელი სამუშაოები და აქატის საბადოს საფეხურებად დამუშავება. ეს ძნელებს წარმოების გეგმების შესრულებას. გარდა ამისა, ირღვევა უსაფრთხოების წესი, რაც დიდ სამშრომელს უქმნის სამთოელებს.

შარშან საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე მაღაროთასამართველოს კომუნისტებმა შ. ლომიძემ, გ. დიაკონაშვილმა და სხვებმა დასვეს საკითხი, რომ ეთხოვნათ საქმარმართლოს ტრესტისათვის მათთვის ახალი ტექნიკის გამოყოფა. ეს იყო თვითსაცლელი მანქანა, 3 ექსკავატორი, 2 ბულდოზერი. კრებამ ეს საკითხი აღძრა კიდევ ტრესტის წინაშე. პასუხი დადებითი იყო, მაგრამ დღემდე მას კონკრეტული საქმე არ მოჰყოლია.

ამ ბოლო წლებში ჩვენთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამთოელთა საყოფაცხოვრებო პირობები. მათთვის ქ. ახალციხეში აშენდა 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, შენდება კიდევ ერთი 40-ბინიანი ასეთი სახლი. ახალციხიდან დიატომიტის შახტამდე 25 კილომეტრ მანძილზე მუშებს უფასოდ ემსახურება სამმართველოს ავტობუსი. რეკონსტრუირებულია დიატომიტის შახტის მუშათა აბანო, კეთილმოეწყო გასახდელები, შეკეთდა მუშათა სასადილო და გაუმჯობესდა მისი მომარაგება. მუშათა ერთი ნაწილისათვის შემოღებულია უფასო ცვება და სხვ.

მაგრამ შახტში მაინც არ შეწყვეტილა მუშათა დენადობა, რაც სხვადასხვა მიზეზით უნდა აიხსნას. ჯერ ერთი, შახტისა და ახალ დასახლებებში, სადაც ო�oიდე სამთოელის ოჯახი ცხოვრობს, აღსაზრდელთა კონტინგენტის სიმცირის გამო არ გვაქვს საბავშვო დაწესებულებები, სკოლა. ამიტომ, როცა ბავშვები სკოლის ასაკისანი ხდებიან, სამთოელები იძულებული არიან დატოვონ აქაურობა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ.

გარდა ამისა, დიატომიტის შახტი ძირითადად დაკომპლექტებულია სოფლის მშრომელებით. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სხვადასხვა სეზონში, განსაკუთრებით კი თიბვისა და მოსავლის აღების-დაბინავების დროს, ისინი ხშირად უნებართვოდ აცდენენ სამუშაოს. შახტისა და მაღაროთასამმართველოს ხელმძღვანელობა კი მათ მიმართ სათანადო ზომებს ვერ ხმარობს იმის შიშით, რომ სულმთლად არ მიატოვონ სამუშაო. შარშან გაზაფხულზე კომუნისტმა გ. მოდებაძემ, აგრეთვე რამდენმე სხვა სამეოლმა მიატოვეს შახტი და მხოლოდ ოქტომბერში დაბრუნდნენ.

პრობლემათა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისთავად მოიხსნება, თუ დიატომიტის შახტთან შეიქმნება ყოველმხრივ კეთილმოწყობილი დასახლება, რომელსაც ექნება ბაგა-ბაღიც, სკოლაც და კულტ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებიც. ვფიქრობთ, საქმისათვის უკეთესი იქნება, აქატ-დიატომიტის მაღაროთასამმართველოს ცალკე გამოეყოს დიატომიტის მაღარო და მისი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა შახტის დასახლებაში გადმოვიდეს. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო მუშათა დასახლების კეთილმოწყობას, არამედ მუშახელის შენარჩუნებასაც. უეცლებლად საჭიროა გადაისინჯოს დიატომიტის შახტის მიწისქვეშა სამუშაოების ნორმები.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ახლადედა სამთოელების მომზადებაზე. შახტში სამუშაოდ ბევრი ახალგაზრდა მოდის. ჩვეულებრივ, სამთო პროფესიის დაუფლებაში მათ სამთოელებმა უნდა გაუწიონ დახმარება. ვეტერანთა ერთი ნაწილი ამ საპატიო მოვალეობას — დამრიგებლობას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მაგრამ გვყავს ისეთებიც, რომლებსაც ცოდნა და გამოცდილება არ აკლიათ, მაგრამ ახალგაზდა მუშების სწავლებას, მათთვის თავიანთი მდიდარი გამოცდილების გაზიარებას რატომღაც თავს იჩენდენ. ამიტომ ახლადმოსულნი მალევე მიატოვებენ ხოლმე სამუშაოს. ვფიქრობთ, ეს საკითხიც პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზოგჯერ ჩვენი კომუნისტები ნაკლებად აქტიურობენ ამა თუ იმ საკითხის ვანხილვაში. ყველა კომუნისტმა, რომ აქტიური პოზიცია დაიკავოს, მუშაობა კიდევ უფრო გაგვიადვილდება, დაჩქარდება აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა და კოლექტივის წინაშე წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაჭრა. ეს კი ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა მომავალი დიდი ფორუმების — სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრის კარგი საწინდარი იქნება.

თ. მაჩაიძე,
ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთასამართველოს მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი.

ენერგოგიგანტებს „ელვა“ მართავს

ტექნიკური პროგრესი

დროის მოთხოვნაა

„ვულკანი“ თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ კოლექტივს მსოფლიოში უდიდესი სწრაფ ნეიტრონებზე მომუშავე ატომური ენერგობლოკის წარმატებით „მუშავებას. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს სამამულო ატომური ენერგეტიკის ავტომატიზაციის საქმეში.

სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ვ. პ. ნევსკი“.

ასეთი სასიამოვნო შინაარსის დეპეშა მიიღო გაერთიანების კოლექტივმა ბელოიარსკის ატომური ელექტროსადგურიდან, იმ ელექტროობიექტიდან, რომლის ხალხის სამსახურში ჩაყენება გულითადად მიულოცა მშენებლებსა და მემონტაჟეებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

მშენებელთა და მემონტაჟეთა ამ წარმატებაში მართლაც ფასდაუდებელია მმართველი მანქანების შექმნელთა წვლილი. სწორედ „ელვას“ მეცნიერ თანამშრომელთა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების მიერ დამზადებულ პროდუქციაზეა დაფუძნებული ატომური გიგანტის მართვის ავტომატიზებული სისტემა. ეს მანქანები ახდენენ ინფორმაციის პირველად დამუშავებას, მართავენ ტექნოლოგიურ პროცესებს და მათი მსვლელობის შესახებ ოპერატორებს აწვდიან ინფორმაციებს, აწარმოებენ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშებას და სხვა.

არსებობის ცხრა წლის მანძილზე გაერთიანება „ელვა“, რომლის შემადგენლობაში შედის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საცდელი და სერიული გამოშვების საწარმოები, საგრძნობლად გაიზარდა, გამმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ ორგანიზაციას მიეცდო ძირითადად გამომთვლელი ტექნიკით ჩვენი ქვეყნის ატომური და თბოელექტროსადგურების აღჭურვა. ეს, ერთი მხრივ, „ელვას“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა, საწარმოს სპეციალისტთა და მუშათა მაღალკვალიფიციური შრომის აღიარებას, ხოლო, მეორე მხრივ, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ზრდას ნიშნავს.

მმართველი გამომთვლელი კომპლექსების შექმნის თვალსაზრისით განსაკუთრებული წარმატებები მიმდინარე ხუთწლედის გვლილ პერიოდშია მოპოვებული. მეტად საგულისხმოა, რომ გაერთიანებაში ამ ხნის მანძილზე შრომის ნაყოფიერება გაორკეცდა, მთლიანად განახლდა პროდუქციის ნომენკლატურა, შეიქმნა კლავიშიანი მანქანების წარმოება, რომლებიც გამომთვლელმა კომპლექსებმა შეცვალა. ახლა გაერთიანების ინსტიტუტის ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების გამომთვლელი და საზომი ტექნიკით. სრული ტექნიკური განახლების პროცესშია გაერთიანების საწარმოთა დანადგარების პარკიც. სერიული მანქანების ქარხანაში ფართო ფრონტით გრძელდება მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა დანერგვა. „ელვას“ ადმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი და პროფკავშირული ორგანიზაცია ...საწარმოო გაერთიანების მუშაკთა ბოლო წლების ორიგინალური ნამუშევრების რიცხვს მიეკუთვნება მიკროელექტრონული გამომთვლელი მანქანაც. ეს ნამუშევარი თითქმის გამოგონებაა და მოსკოვის პრობლემათა ინსტიტუტის კოლექტივთან შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგად იშვა.

— ამ მანქანისათვის დამახასიათებელი ნიშანი, გვითხრა გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. ამ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ნაწარმის მაღალი ტექნიკური დონის შენარჩუნებისათვის შეუნელებელი ზრუნვა. პროდუქცია აქ ჯერ კიდევ პროექტირების პროცესში იბადება, მოწმდება კონსტრუქციული შესრულების სისწორე, იხვეწება და მთლიანად მეღვნდება მისი პოტენციური ტექნიკური შესაძლებლობანი.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუდმივი ბრძოლა არასოდეს არ ჩაივლის ამოდ. ასე იყო ამას წინათაც, როცა აქ დამზადებულ მ-6000 გამომთვლელ კომპლექსს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. სხვათა შორის, ამავამად გაერთიანების წარმოების საერთო მოცულობაში საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნულმა პროდუქციის ხვედრითმა წილმა 50 პროცენტს გადააჭარბა. ამ ბოლო ხანს გაერთიანებაში შეიქმნა მ-60 მოდელის გამომთვლელი ტექნიკის საშუალებათა კომპლექსი. მას თავის წინამორბედთან შედარებით უფრო მოქნილი სტრუქტურა და უნიფიცირებული ბლოკები აქვს, რაც საშუალებას იძლევა დაპროექტების გზით გავაერთმთლიანოთ სხვადასხვა არქიტექტურის საინფორმაციო და საინფორმაციო გამომთვლელი კომპლექსები. მ-60 მოდელის კომპლექსები წარმატებით დაინერგა ბელოიარსკისა და ნოვოვორონეჟსკის ატომურ ელექტროსადგურებში, რეფტინსკის თბოელექტროსადგურში.

„ელვაში“ დამზადებული გამომთვლელი კომპლექსები წარმატებით შეიძლება გამოიყენოთ მანქანათსაშენებელ, ქიმიურ, კვების მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სხვა დარგებში.

საწარმოო გაერთიანება ელექტროსადგურებისათვის ოლიგიკური მართვის მოწყობილობებსაც ამზადებს. ეს მოწყობილობა წარმოადგენს ავტომატს, რომელიც აკონტროლებს შემსრულებელ მექანიზმთა ჯგუფის მუშაობას და მძლავრ ენერგობლოკებს მართავს. მთავარი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლოგიკური მართვის მოწყობილობა, — ეს არის მისი მაღალი საექსპლოატაციო საიმედობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად

ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ცნობა იმ ნაშრომთა შესახებ, რომლებიც დაშვებულია კონკურსში სსრ კავშირის 1980 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად.

მოგვაყვანს გამოქვეყნებულ სიაში შესულ თანამემამულე მეცნიერთა გვარები და შესაბამისი ნაშრომები.

ნ. ს. გიგინეიშვილი (სხვა ავტორებთან ერთად) — „ნაცრისფერი, ვარდისფერი და თეთრი შეფერილობის, ბუხარისა და სურხახდარიის სურის ყარაკულის ჯიშის ცხვრის ახალი ტიპების შექმნა და მათი წარმოებაში დანერგვა“.

წარდგენილია მეცხოველეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მეყარაკულეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ბ. ფ. ჭეიდლიშვილი, თ. ვ. ფერაძე (სხვა ავტორებთან ერთად) — „გრიპის წინააღმდეგ ინავქტივირებული ქრომატოგრაფიული ვაქცინის დამუშავება და დანერგვა“.

წარდგენილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ბ. პ. კონსტანტინოვის სახელობის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის, ლენინგრადის მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ლენინგრადის პასტერის სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ე. ბ. ლონდაშვილი, (სხვა ავტორებთან ერთად) — „მრავალკორდინატული ელექტრომძრავების ახალი პრინციპების, კონსტრუქციებისა და წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება რთულ სახეობათა მოძრაობის უშუალო რეალიზაციით და მათ საფუძველზე პრეციზიული ხელსაწყოსა და ტექნოლოგიური მოწყობილობის ახალი თაობის შექმნა“.

წარდგენილია მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის მიერ.

ა. ხ. ღვამიჩავა (სხვა ავტორებთან ერთად) — „მსოფლიოში პირველმა კრტ-10 კოსმოსური რადიოტელესკოპის შექმნა და მასთან ექსპერიმენტული სამუშაოების წარმოება „სალუტ-6“ ხანგრძლივ ორბიტულ სადგურზე“.

წარდგენილია რადიომრეწველობის სამინისტროს მიერ.

ვ. დ. ლომთათიძე. „სანტექნიკა გეოლოგია“ (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის), სამ ტომად: 1. „სანტექნიკა პეტროლოგია“, 2. „სპეციალური სანტექნიკა გეოლოგია“, 3. „სანტექნიკა გეოდინამიკა“ (გამომცემლობა „ნედრა“, ლენინგრადი, 1970, 1977, 1978 წლები).

წარდგენილია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გაათავისუფლა ამხ. ა. ი. გონაშვილი საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ჯ. დ. ბეგდუკაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ნ. ენუქიძემ. (საქინფორმი).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის ზოგიერთ რაიკომის პირველი მდივანი ჟ. ყარაულაშვილი

გაზეთ „კომუნისტის“ მოწინავე სტატიაში სათაურით — „გადაწყვეტილება და საქმე“, რომელიც მიმდინარე წლის 3 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, სხვა რაიონულ და საქალაქო პარტიულ კომიტეტებთან ერთად გაკრიტიკებული იყო პარტიის წითელწყაროს რაიკომი, იმისათვის, რომ მეცხოველეობის პროდუქტებისა და მარცვლეულის წარმოებაში გადიდების თაობაზე მიღებული ბევრი დადგენილება სასურველ მიზანს ვერ აღწევს, რომ სუსტია ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ამ დადგენილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის, ეხსაკუთრებით აღნიშნული იყო, რომ ბოლო ორ წელიწადში წინა წლებთან შედარებით აქ რძისა და კვერცხის წარმოების საქმე უკანუკან წავიდა.

მოწონებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტების გამო საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ჟ. ყარაულაშვილი გვატყობინებს:

*კრიტიკა სავსებით სამართლიანი და მისაღებია. რამ ჩამორჩენა მართლაც რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანოების მოუქნელი და ცუდი მუშაობის შედეგია. ამასთან გაცნობებთ, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენმა საკომლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიის რაიკომმა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიებები განხორციელეს ჩამორჩენის დასაძლევად, ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო. რაიონმა დაგეგმარებინა შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა ვალდებულ



სურათებზე: გამოფენის ექსპონატები. ზემოთ — რსფს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები ლ. პეტროვი და ვ. პეტროვა — „1917 წელი"; რსფს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ლ. კაბაჩეკი — „მიწა და ადამიანები".

დროის პორტრეტი

და მაინც შესაძლებელი ყოფილა დროის შეჩერება. თითქოსდა თავის შეუნელებელ სრბოლას წყვეტსო, იგი სამუდამოდ გვეტოვებს ფუნჯით, საკრეთლითი, კალმით ალბეჭდილ ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებს... სწორედ ასე აღიქმება სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენის ექსპოზიცია, რომელიც საქართველოში მიმდინარე საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების ცენტრალური მოვლენა გახდა. მხატვრის სახლმა თითქოს კიდევ უფრო გააფართოვა თავისი დარბაზები, რათა დაეტია საბჭოთა სახვითი ხელოვნების მთელი მრავალფეროვნება — ჩვენი ქვეყნის თხუთმეტივე მოძმე რესპუბლიკის ოსტატების წარმომადგენელთა ნამუშევრები. 400-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნამუშევარი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში აქ 250-მდე ავტორმა წარმოადგინა. გამოფენის თემატიკური დაპაზონი ჩვენი სინამდვილის ყველა მხარეს, საბჭოეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს მოიცავს.

— საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მოწყობა ყველა ჩვენთაგანისათვის ამაღელვებელი და სასიხარულო მოვლენაა, — თქვა ვერნისაჟზე სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. პონომარიოვმა. — მხატვრული კულტურის ამ დღესასწაულმა დიდი ინტერნაციონალური ეღერადობა შეიძინა. სწორედ ასეთი შემოქმედებითი შეხვედრებით მკაფიოდ ვლინდება ეროვნული ტრადიციების ურთიერთმოქმედება და ურთიერთგამდიდრება ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის კულტურების თანამედროვე მიღწევებითა და აღმოჩენებით.

სრულიად საკავშირო სამხატვრო გამოფენა გაიხსნა მხატვართა სახლის საუცხო დარბაზებში, რომელიც შესანიშნავი საჩუქარი გახდა სახვითი ხელოვნების მოღვაწეებისათვის და განასახიერებს იმ უდიდეს ზრუნვას, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ სახვითი ხელოვნების ოსტატებისადმი. ამხ. ნ. პონომარიოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, საქართველოს მხატვართა კავშირს, საქართველოს საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მოწყობაში ფასდაუდებელი დახმარებისათვის.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ: საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ხალვაშიძე, საქართველოს ხელოვნებათმოძღვარი ო. თუმანიშვილი, რუსეთის ფედერაციის ხელოვნებათმოძღვარი ნ. ბოგატიშევი, რუსეთის სახალხო მხატვარი ზ. ნიეარაძე.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები გ. ენუქიძე, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ო. ჩერქეზია. (საქინფორმი).

შეხვედრები აფხაზეთში

ბზიური აფხაზეთის საზოგადოებრიობა გულთბილად მასპინძლობდა ძვირფას სტუმრებს — საბჭოთა სახვითი ხელოვნების წარმომადგენლებს.

სტუმართა პირველი შეხვედრები ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან—ქალაქის ინტელიგენციასთან, სამრეწველო საწარმოთა მუშებთან, ახლომდებარე სოფლების კოლმეურნეებთან გაიმართა სოხუმში აფხაზეთის მხატვართა სიგამოფენო დარბაზის საზეიმო გახსნაზე. რეკონსტრუქციის შემდეგ ამ დარბაზის გახსნა სწორედ სტუმრების ჩამოსვლას დაემთხვა.

მთა აქ ელოდებოდა აფხაზეთის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის ოსტატთა ნამუშევრების ფართო ექსპოზიცია.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა და სტუმრებს გულითადად მიესალმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. მარშანია.

შემდეგ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილეთა მიღება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. აღლეიბამ სტუმრებს მოუთხრო აფხაზეთის მეჩაიეთა, მეციტრუსეთა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელთა შრომითს წარმატებებზე მეათე ხუთწლედში.

სტუმართა სახელით უკრაინის სსრ სახალხო მხატვარმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. სკობლიკოვმა მხურვალე მადლობა გადაუხადა აფხაზეთის მშრომელებს, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას გულთბილი, ძმური მიღებისათვის.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილე სტუმრებმა დაათვალიერეს სოხუმის ღირსშესანიშნაობანი, მოინახულეს დ. გულიას მშობლიური სოფელი ადიუბჟა, მ. გორკის სახელთან დაკავშირებული ადგილები.

სტუმრებმა აფხაზეთში ყოფნის დროს დაათვალიერეს აგრეთვე სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი იყვნენ ახალი ათონის მღვიმეში, დაათვალიერეს კურორტ ახალი ათონის ტაძარი.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მასპინძლობდა ცხაკაია

ცხაკაიას რაიონის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო საქართველოში საბჭოთა სახვითი ხელოვნების დღეების მონაწილეთა ერთ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი ო. სოვასტიუკი, მხატვრები ბ. ტოლბერგი, ე. სიდორკინი, ა. არუთინიანი, ე. მისკო, შ. აკმუხამედოვი, ჯ. ლოლუა, გ. ნარმანია, ჯ. ფანუაშვილი და სხვ.

სტუმრებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინისა და მ. ცხაკაიას ძეგლები. შემდეგ ისინი შეხვდნენ მოქანდაკე ვ. მელიქშვილსა და არქიტექტორ ვ. დავითაიას, რომლებიც ქალაქის პარკში ქმნიან „საბრძოლო დიდების მონუმენტს".

სტუმრები იყვნენ გიორგი ჭალადიდელის (ქონაკიძის) ძეგლის გახსნაზე, დათვალიერეს ქალაქის ის უბანი, სადაც ამ* ცოტა ხნის წინათ გახსნა თანამედროვეობის გამოჩენილი მსახიობის ა. ხორავას ძეგლი, სურათების გალერეა და სამხატვრო სკოლა, ეწვივნენ აგრეთვე ძველ ნოქალაქეს.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის" საკ. კორ.



ფუძემდებელი

ფართოდ აღინიშნება ამ დღეებში გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის, ახალი ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებლის იაკობ ნიკოლაძის იუბილე. თბილისში, როდენის ქუჩაზე, მოქანდაკის სახლ-მუზეუმში გახსნილია მისი ნაწარმოებების ახალი ექსპოზიცია.

ი. ნიკოლაძის საიუბილეო საღამო დღეს, 27 მაისს გაიმართება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედება ხალხმა რუსთაველის პორტრეტით გაიცნო, რომელიც მან 1897 წელს, კავკასიის მხატვართა მეხუთე გამოფენაზე წარმოადგინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ახალი ქართული რეალისტური ქანდაკების ისტორიის დასაწყისიც, რადგანაც ამ სფეროში, ხელოვნების სხვა დარგთან განსხვავებით, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ფაქტობრივად არაფერი შექმნილა. რუსთაველის ქანდაკებას დიდი წარმატება ხვდა წილად. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები აღფრთოვანებით შეხვდნენ პირველი ქართველი მოქანდაკის ასპარეზზე გამოჩენას, რამაც იმ დროს ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ხელოვანს ფრთა შეასხა და საბოლოოდ განუსაზღვრა ცხოვრების მიზანი, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდა.

იაკობ ნიკოლაძე დაიბადა 1876 წლის 29 მაისს ქუთაისში. ხატვისა და ძერწვის სიყვარული ბავშვობიდანვე დაჰყვა. ახლობლებიც დიდი მონდომებით უწყობდნენ ხელს ნიჭიერ ყმაწვილს დოსტატებში. დაამთავრა ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი, მოსკოვის სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელი, ოდესის სამხატვრო სკოლა. სწავლის პერიოდში დროდადრო ჩამოდიოდა ქუთაისში და ინტენსიურად მუშაობდა. 1898 წელს ახდა მისი დიდი ხნის ოცნება — პარიზს გაემგზავრა, სადაც კაზმულ ხელოვნებათა უმაღლეს სკოლაში განაგრძო მეცადინეობა. პარიზში პირველად ყოფნის ორი წლის მანძილზე ცნობისმოყვარე ახალგაზრდას არაფერი რჩებოდა უყურადღებოდ. ბერძნული, რომაული, რენესანსული, კლასიციზტური ქანდაკების პრინციპები მისთვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი იყო, რადგანაც ტრადიციული თემები და ფორმები კარგად ჰქონდა შესწავლილი. ახალი კი — ორი საუკუნის მიჯნაზე პარიზის კულტურული ცხოვრების ორომტრიალში მორეული საქართველოდან მოხვედრილი ახალგაზრდა შემოქმედის წინაშე უამრავ გადაუჭრელ, ხშირად გამოუცნობ პრობლემას აყენებდა. პარიზში მრავალი სახელოვანი თუ ნაკლებად ცნობილი მოქანდაკე მუშაობდა, რომელთაგანაც უმეტესობა მხოლოდ საკუთარ გზას სახავდა ქანდაკების მომავლის საწყისად. პარიზში როდენი მეუფეობდა, რომლის სახელოსნოდან გამოსული ყოველი ნაწარმოები ახალი სიტყვა იყო პლასტიკური ხელოვნების ისტორიაში.

პარიზში ი. ნიკოლაძე ბეჯითად მეცადინეობდა, მაგრამ დამოუკიდებელი მუშაობაც არ შეუწყვეტია. ქანდაკების უბირველეს თვისებად იგი რეალობას მიიჩნევდა. ამასთანავე, მისთვისაც, ისევე როგორც ყველა ახალგაზრდა შემოქმედისათვის, სხვებისაგან გამორჩევის სურვილიც არ იყო უცხო. რაც მთავარია, მოქანდაკის ფანტაზიას კვლავინდებურად მშობლიური თემატიკა ასაზრდოებდა. ეს სამი საწყისი — რეალიზმი, ორიგინალურობისადმი სწრაფვა და ეროვნულობის გრძნობა განსაზღვრავდა ი. ნიკოლაძის პარიზში შექმნილი ნამუშევრების ძირითადი ნაწილის მხატვრულ თავისებურებებს.

1901 წელს ი. ნიკოლაძე თბილისში ჩამოვიდა და სულ მოკლე ხანში შექმნა პორტრეტების მთელი სერია (მაო არაგვისპირელი, კოტე ფეფანი, ვასო აბაშიძე, ტასო მაჩაბელი, ოსკარ შმერლინგი) და ორი დიდი ზომის ჰორელიეფი. 1903 წელს გამოფენაში მონაწილეობისთვის მოქანდაკეს ვერცხლის დიდი მედალი მიეჩინა.

1904-1910 წლებში ი. ნიკოლაძე კვლავ ევროპაშია და მხოლოდ



მცირე ხნით ჩამოდის ხოლმე საქართველოში. მან შვიდ თვეს იცხოვრა იტალიაში, იცხოვრა დონტელოს და მიქელანჯელოს სამყაროში და მათი ტიტანური ძალით მოჯადოებულმა დატოვა ფლორენცია, რათა საკუთარი „ფეხით სიარულის საშუალება" არ დაჰკარგოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მოგზაურობის შემდგომი გეზი და მიზანი მაინც მიქელანჯელოს „კარნახით" აირჩია: ფლორენციაში მიქელანჯელოს „მონებით" მოხიბლულს როდენი მონატრებია და „იმ წამოდან უკვე როდენის მოწაფე ვიყავიო", — იგონებდა შემდეგ მოქანდაკე.

როდენის მოწაფეობა არცთუ ისე იოლი იყო. მას თაყვანისმცემელთა და შეგირდთა მთელი არმია ეხვია გარს. ი. ნიკოლაძემ ნაცნობ-მეგობრების საშუალებით შეძლო დაახლოებოდა დიდ ხელოვანს. ერთ წელიწადს მუშაობდა მასთან მეგობრში, სადაც როდენს შესანიშნავად მოწყობილი სახელოსნო ჰქონდა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ი. ნიკოლაძე ერთბაშად მოექცა როდენის გავლენის ქვეშ. მან სწრაფად აითვისა პლასტიკური სხეულის მოდელირების როდენისეული ომპრესიონისტული ხერხები, ქანდაკების ზედაპირზე შუქ-ჩრდილის ეფექტური გამოყენების ილუზორული მეთოდი, ფიგურის დენადი, შიმ‍ერალი კონტურები შემოვლების საიდუმლოება. ამ წლებში შესრულებული მისი „სალომე", „ჩრდილოელი ქალიშვილი", „ქალი იასამნის ქვეშ" „ქარი" და სხვა ნამუშევრები აშკარად როდენისეული მანერით არის შესრულებული.

ოცი წლის შემდეგ ი. ნიკოლაძე დაწერა მოგონებების წიგნი „ერთი წელი როდენთან", რომელშიც უაღრესად ემოციურად გვიამბობს როდენზე — პიროვნებასა და მოქანდაკეზე და, რომელიც დიდად საყურადღებო მასალებს შეიცავს თვით ი. ნიკოლაძის შემოქმედებითი პრინციპების შესახებ.

1907 წელს ი. ნიკოლაძემ, შემოქმედებითი გეგმებით დატვირთულმა, დატოვა მედონი, პარიზს გადასახლდა და იქ განაგრძო ინტენსიური მუშაობა. აქვე შეიტყო მან ქართველი ხალხის ეროვნული ტრაგედია — ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. მას საკუთარი მოვალეობის შეგნებამ უკარნახა თავისი წვლილი შეეტანა დიდი მამულიშვილის სახელისა და სახის უკვდავყოფის საქმეში. მაშ, ვის უნდა დაედგა ძეგლი ილია ჭავჭავაძისთვის, თუ არა პირველ მოქანდაკეს ქართველთაგან! ი. ნიკოლაძემ იმოავითვე დაიწყო მუშაობა ილიას ძეგლზე, ხოლო 1908 წელს თბილისში ჩამოსულმა ოფიციალური შეკვეთაც მიიღო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან. დიდი იყო ინტერესი ამ ძეგლისადმი, დიდი იყო პასუხისმგებლობა, რომელიც მოქანდაკემ იტვირთა. მან ძეგლის სამი ვარიანტი შექმნა და, საგანგებო კომისიის მიერ ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი, პარიზში ჩამოასხმევინა ბრინჯაოსაგან. დაიდგა იგი მთაწმინდაზე, ილიას საფლავზე და დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა 1913 წლის 5 მაისს. ეს იყო ეროვნული მოღვაწისადმი მიძღვნილი პირველი ძეგლი საქართველოში, შექმნილი ეროვნული თვითშეგნების გაღვივების ხანაში, თუმცა მწუხარების გამომხატველი, მაგრამ ხალული მაცნე ერის გამოღვიძებისა, მისი უკეთესი მომავლისა. ამიტომ თქვა აკაკი წერეთელმა, ძეგლის კურთხევისას: „იდეის მხრივ დიდია ეს ქანდაკებაო".

„მწუხარე საქართველო" იყო მოქანდაკის ერთადერთი ძეგლი, რომელიც რევოლუციამდე დაიდგა ჩვენში. 1910 წლიდან თბილისში დამკვიდრებულ ი. ნიკოლაძეს საოცნებოდ გაუხდა მრავალი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით საინტერესო ნაწარმოების განხორციელება. მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა მცირე ჯგუფი, რომელთა შორისაც აკაკი წერეთელიც იყო, სიტყვითა და კალმით კვლავაც მხარში ედგა მოქანდაკეს, მაგრამ მხოლოდ მორალური მხარდაჭერა საკმეს ვერ შველოდა: შემოქმედებითი მოწიფულობის ქამდამგარი მოქანდაკე ზედიზედ ქმნიდა მრავალფიგურიანი კომპოზიციების ესკიზებს, რომელთა საჭირო მასალითა და მასშტაბით ხორცშესხმა საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვდა, ამ თანხის გამღები კი არავინ ჩანდა.

თუმცა ი. ნიკოლაძე არასოდეს არ ყოფილა მონუმენტალისტი, ამ ცნების სრული არსით, მაგრამ აღნიშნულმა გარემოებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი შემდგომი მუშაობის გეზი. მან მთელი გულისყური პორტრეტზე გადაიტანა. შექმნა ისტორიულ პირთა და თანამედროვეთა მრავალი პორტრეტი, რომელთა უმეტესობა კამერული ხასიათისაა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ეგნატე ნინოშვილისა და აკაკი წერეთლის ბიუსტები.

ეგნატე ნინოშვილის ბიუსტი ი. ნიკოლაძემ 1910-11 წლებში გამოაქანდაკა, შემდეგ ბრინჯაოთიც ჩამოასხა, მაგრამ იგი მხოლოდ 1923 წელს დაიდგა თბილისში, კომუნარების ბაღში.

ი. ნიკოლაძეს აკაკი წერეთლის რამდენიმე პორტრეტი აქვს შესრულებული. იგი ყმაწვილობიდანვე იყო პოეტის „ტკბილ ხმათა" მოტრფიალე, რომელიც შემდეგ მისი გულისხმიერი მეგობარი და მრჩეველი გახდა. სიცოცხლის ბოლო წლებში დიდების კვარცხლბეკზე ამაღლებული, ჭაღარა, „ცით მოვლენილი" დიდი მგოსანი, მისი საოცრად მიმზიდველი, სათნოებით აღსავსე სახე და ამაყად ზეაწეული თავი ვის არ მოხიბლავდა, ან უკეთესს რას ინატრებდა მოქანდაკის საკრეთელი. ასეთად უნდა დარჩენილიყო იგი თვალთათვის. ასეთად უნდა ზიარებოდა მარადისობას, და სწორედ ამ სახით გამოაქანდაკა ი. ნიკოლაძემ მგოსანი 1915 წელს, მისი გარდაცვალების წელს. კეთილმოსურნე თვალი კარგად ხედავდა, რომ აკაკის ამ ბიუსტის სახით განსაკუთრებული რამ შეიქმნა ქართულ ხელოვნებაში. მოქანდაკე თვითონაც გრძნობდა ამას, მაგრამ რაკი ესეც კი ვერ გასცდა მისი სახელოსნის ფარგლებს, აღფრთოვანების ნაცვლად აშკარა შემოქმედებითი დეპრესია დაიწყო. ვეღარც ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას გაართვა თავი და კარგა ხნით დადუმდა.

ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში ახალი ეტაპი საქართველოში ახალი ცხოვრების დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო. მან მალე აუღო ალღო იმ სასიკეთო ცვლილებებს, რომლებიც საქართველოს განაბეჭოებას მოჰყვა. კვლავ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა. აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობდა კონკურსებში, რომლებიც „მონუმენტური პროპაგანდის" ლენინური გეგმით ეწყობოდა. შექმნა ცნობილი რევოლუციონერების მრავალი პორტრეტი. ეპოქის რევოლუციური პათოსი მოქანდაკის შემოქმედებითი ფანტაზიის ძირითად მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. ამასთანავე, სრულიად ახლებური შინაარსი მიეცა მის მიერ ამ წლებში შესრულებულ ქართველ მოღვაწეთა სახეებს, რასაც თვალნათლივ გვდასტურებს კვლავ ე. ნინოშვილის, ჯ. მელიქიშვილის, გ. ღამბარაშვილის, ი. როსტომაშვილის ბიუსტები, ვ. სარაჯიშვილის და ლ. მესხიშვილის ძეგლების ესკიზები.

ჩამოთვლილ ნაწარმოებთა შორის ლირიკულ ჩანართად ჩანს „კოცნა", „უძილობა", „წარმავალი სიყვარული", რომლებიც რომანტიკული, პოეტური განწყობილებით მოქანდაკის ადრეულ ნაწარმოებებს გვაგონებს.

ენერგიამოჭარბებულ შემოქმედს არც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის აკლდა დრო და სურვილი. მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის — ზაკადემიის დაარსების საქმეში (1922 წელი). იყო აკადემიის ერთ-ერთი პირველი პროფესორი და ქანდაკების კათედრის გამგე. შემდეგაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდი ხალისით მუშაობდა ახალგაზრდებთან. აღზარდა ქართველ მოქანდაკეთა მრავალი თაობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართული პლასტიკური ხელოვნების საყოველთაოდ აღიარებულ მიღწევებს ბევრად უნდა ვუმადლოდეთ ი. ნიკოლაძის მიერ ჩაყრილ მყარ საფუძველს.

ამავე წლებში ი. ნიკოლაძემ პირველად იგრძნო შემოქმედისათვის ესოდენ საჭირო საზოგადოებრიობის ყურადღება, რაც განსაკუთრებული სიცხადით 1922 წლის დეკემბერში მისი მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი იუბილით გამოიხატა. იუბილეს დიდი ზეიმით ნიშნავდა. წინადღით კი, ოპერის ბაღში, ასევე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა აკაკის ძეგლი (1915 წელს გამოძერწილი და 1920 წელს ქვაში გადატანილი).

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებაში თანდათან უფრო მკაფიოდ ისახება ადრიდანვე შესამჩნევი თავისებურება. მოქანდაკე ხშირად ძერწავს ერთი და იგივე პიროვნების პორტრეტს, გულმოდგინედ იკვლევს ადამიანის ინტელექტუალურ და ფსიქოლოგიურ ბუნებას, ქმნის* ამა თუ იმ სახის ახალ-ახალ ვარიანტებს, რაც ნაწარმოებთა ფორმის, ზომის, დაყენების, რაკურსის, ნაკვთების მოდელირების, შუქ-ჩრდილის ნიუანსების საშუალებით გამოიხატება. ხმარობს სხვადასხვა მასალას — თიხას, თაბაშირს, ქვას, მარმარილოს, ბრინჯაოს, და ამითაც მაყურებლისათვის უკვე კარგად ცნობილ სახეს სრულიად ახლებურ მეტყველებას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის სამი პორტრეტი.

მოქანდაკე ხშირად უბრუნდებოდა აგრეთვე რუსთაველის სახეს. ხოლო რუსთაველის 750-ე წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით შექმნა მისი პორტრეტების მთელი ციკლი, ესკიზები ძეგლისათვის, რამდენიმე რელიეფი „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტზე. რუსთველის სახის ძერწვისას მოქანდაკე არ ცდილა გაქცეოდა ტრადიციას. აღნიშნული ციკლიდან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა რელიეფმა გამოსახულების თავთან ამოჭრილი სეგმენტით, რომელიც ფართოდ გავრცელდა. თაბაშირის, ტერაკოტის, ალებასტრის პირების სახით.

სულ სხვა პრობლემის წინაშე დადგა მოქანდაკე, როდესაც თამარ მეფის ეპოქის მეორე დიდი პოეტის — ჩახრუხაძის სახის გამოძერწვა დაისახა მიზნად (1944 წელი). ამისათვის არც რაიმე ტრადიცია, არც კონკრეტული მონაცემები არ არსებობდა, გარდა ფაქიზი, სიტყვაძარღვიანი და ბრძნული ლექსისა.

ი. ნიკოლაძის „ჩახრუხაძე" არის კონკრეტული პიროვნებაც და ამასთანავე, განზოგადებული სახეც პოეტისა. იგი შუა საუკუნეების პოეტია, დინჯი და მკაცრი, ასკეტური გამომეტყველებით მჭვრეტელი ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებათა. ჩახრუხაძის სახე კრებითიც არის, კრებითი მოქანდაკისათვის, რადგანაც მასში თაქმოყრილია მისი უზარმაზარი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მან ჯერ კიდევ როდენის სახელოსნოში, შემდეგ კი მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვა; დაჯამებულია მისი ნიჭის, ფანტაზიის, მთაგონების ნაყოფი, რამაც ქართული პლასტიკური ხელოვნება ჭეშმარიტად თანამედროვე დონეზე დააყენა.

მაგრამ ჩახრუხაძის პორტრეტი, საბედნიეროდ, არ გამხდარა უკვე ხანდაზმული მოქანდაკის ცხოვრების ეპილოგი. მას წინ ელოდა კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვებით მოპოვებული ბედნიერება. ეს წარმატებაც წლების მანძილზე მზადდებოდა და დასრულდა მისი ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოების შექმნით, რომელსაც ეწოდა „ლენინი — „ისკრის" დამაარსებელი". ამ ნაწარმოების მოსამზადებელი საფეხურები კი იყო ლენინის ამამდე ბიუსტი, ძეგლი, რელიეფი, მრავალფიგურიანი კომპოზიცია, რომლებიც სხვადასხვა წლებში შეასრულა ი. ნიკოლაძემ.

ლენინი — დიდი მოაზროვნე და ორგანიზატორი — ასეთია ი. ნიკოლაძის ბიუსტის თემა, რომელიც მოქანდაკეს უაღრესად ლაკონიური და მეტყველი ხერხებით აქვს წარმოჩენილი. ქანდაკების დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. ი. ნიკოლაძემ კიდევ ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებით გაამდიდრა საბჭოთა ლენინიანა.

სიცოცხლის ბოლო წლებში მოქანდაკემ რამდენიმე საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყო, მაგრამ მოხუცებულმა და დასნეულებულმა, ვერც ერთი ვერ მიიყვანა ბოლომდე. იგი გარდაიცვალა 1951 წლის 10 მარტს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში, ილია ჭავჭავაძის საფლავის წინ, სადაც მისი „მწუხარე საქართველო" დარაჯობს რჩეულ მამულიშვილთა სასუფეველს.

ი. ნიკოლაძემ უხვად მოიმკა თავისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ნაყოფი. მას მინიჭებული ჰქონდა სახალხო მხატვრის წოდება, იყო რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერი, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

თ. სანიკიძე,
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

გვაგყობინებენ საკლესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება დღევანდელი ჩვენი თვალით

პრეზიდენტის ინტერვიუ

პარიზი. საფრანგეთის ტელევიზიამ გადასცა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის ინტერვიუ რადიო-სატელევიზიო კომპანიების წარმომადგენლებისადმი. ინტერვიუ ეხებოდა უმთავრესად პრეზიდენტის შეხვედრას ლ. ი. ბრეჟნევთან, რომელიც ვარშავაში გაიმართა.

ვარშავაში გამგზავრება, განაცხადა, კერძოდ, პრეზიდენტმა, გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: არსებობს სერიოზული საერთაშორისო დაძაბულობა. ამაში დარწმუნებულია საფრანგეთის საზოგადოებრიობაც. ასეთ ვითარებაში საჭიროა, რომ მსოფლიოს მთავარმა ხელმძღვანელებმა კარგად იცოდნენ სხვების თვალსაზრისი. ბევრი კატასტროფა მსოფლიო ისტორიაში უკანასკნელი 50 თუ 100 წლის მანძილზე იმის შედეგი იყო, რომ მსოფლიოს მთავარი ხელმძღვანელები არ ხვდებოდნენ, ან აზრს არ უზიარებდნენ ერთმანეთს. მაშასადამე, ამ შეხვედრის მიზანი ის გახლდათ, რომ გაგვემარჯა საფუძვლიანი საუბარი ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელთან — ლ. ი. ბრეჟნევთან.

შემდეგ ვ. ჟისკარ დესტენი შეეხო დასავლეთის კრიტიკულ გამონათქვამებს ვარშავის შეხვედრასთან დაკავშირებით. როგორც მან თქვა, დიდ ქვეყნებს აქვთ ტენდენცია მიაჩნდეთ, რომ მათ ეკუთვნით საერთაშორისო ურთიერთობის მონოპოლია. ლ. ი. ბრეჟნევთან ჩემს შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, თქვა პრეზიდენტმა, ამერიკის ახალი სახელმწიფო მდივანი ეს უაბრა ა. ა. გრომიკოს. ეს შეხვედრა ყველამ სავსებით ბუნებრივად მიიჩნია და ამბობდნენ: როგორც იქნა, ამ ბოლო ხნის მანძილზე პირველად გაიმართა საუბარი. მაგრამ ის აზრი, რომ რომელიღაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელი შეხვდა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს ლ. ი. ბრეჟნევს, აღიზიანებს ზოგ-ზოგებს. რატომ? აი სწორედ აქ მივადექით იმას, რაც ჩვენთვის მიუღებელია, სახელდობრ, რომ საფრანგეთს, თითქოს, არა აქვს უფლება ან შესაძლებლობა ახორციელებდეს დამოუკიდებელ პოლიტიკას, რამდენადაც მას მაშინვე ბრალს სდებენ, დასავლეთის სოლიდარობა დაარღვიაო.

რაში, რა საკითხში, რა ღონისძიებების გამო დაარღვია ამ მგზავრობამ დასავლეთის სოლიდარობა? — იკითხა ვ. ჟისკარ დესტენმა. განხორციელდა რაიმე მოქმედება, რომელიც შეცვლიდა ან შეარყევდა დასავლეთის სოლიდარობას? არავითარი, გარდა თვით პრინციპისა, რომ საფრანგეთი მართავს საუბარს და შეუძლია გამართოს იგი ზესთანაც საჭიროდ მიიჩნევს. ჩვენ რეგულარულად ვაწარმოებთ კონსულტაციებს საბჭოთა კავშირთან.

წარმატებული გასტროლები

სინგაპური, 26 მაისი. სინგაპურში დიდი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა მევიოლინის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ი. ვ. ჭოლიტკოვსკის გასტროლებმა. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა მსახიობს.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

26 მაისი

● **პრაღა.** პრაღის მეტროპოლიტენის დეპოში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროს მეტროშის მანქანათაშენებელი ქარხნის წარმომადგენელმა მე-200 საიუბილეო ვაგონი გადასცა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მიწისქვეშა ტრანსპორტისათვის.

● **სოლსბერი.** უცხოელ სპეციალისტებს ზიმბაბვეში სამუშაოდ მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვაკანტურ ადგილებზე არ იქნება ქვეყნის მოქალაქეთა კანდიდატურა. ეს განაცხადა აქ ადამიანთა რესურსების, დაგეგმვისა და განვითარების მინისტრმა ე. ტაკერემ.

ბაბრაქ ქარმალის სიტყვა

ქაბული, 26 მაისი. მსოფლიოს ვერავითარი ძალა — ვერც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, ვერც ჰეგემონისტური ჩინეთი, ვერც ისრაელის სიონიზმი, ვერც რეგიონის რეაქცია, ვერც მინაური კონტრრევოლუცია — ვერასდეს ვერ მიაღწევს საწადელს ხორცი შეასხას თავის ავბედითს ზრახვებს თავისუფალი და დამოუკიდებელი ავღანელი ხალხის მიმართ. ჩვენს რევოლუციურ სახელმწიფოს— ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის მშვიდობისმოყვარე და მამაც ავღანელ ხალხს ისინი ვერასოდეს ვერ მოიზვეგენ თავს თავიანთ ნებას, ეს განაცხადა ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაქ ქარმალმა ქაბულში მიმდინარე ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მასწავლებელთა პირველი ყრილობის დელეგატთა წინაშე გამოსვლისას.

ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურის გამოქვეყნებულ სიტყვაში ხაზგასმულია, რომ ამგვარი მოქმედების საშიში შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირებს, რომელსაც არა აქვთ სამშობლო და უკვე მრავალი წელია არიან კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის დაქირავებულნი და აგენტები, ან იმათ, ვინც იმპერიალიზმის მითითებ

ისევ და ისევ განძის შესახებ

მკითხველს უთუოდ ეხსომება: შარშან „კომუნისტმა“ არა ერთი და ორი კრიტიკული წერილი დაბეჭდა იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის სამუზეუმო და საიკულესო განძეულობის მოვლა-პაკრონობაში თავს იჩენს სერიოზული ხარვეზები, და თუ რამდენად სერიოზული, ეს პუბლიციტეტ მიხეილ მიქაძის დღის გამოქვეყნებული მასალიდანაც ჩანს.

როცა მას ქურდიანის და სხვათა სასამართლო პროცესზე გზავნიდნენ, რედაქციაში გაეხუმრნენ, ბედი გაქვს, ქურდიანის ქურდობის ამბავს შენებურად გაათამაშებ და გაალამაზებო, ხოლო სასამართლოდან დაბრუნებულმა „ავთა კაცთა ავი საქმის“ ავტორმა, ბედის მომფლურავმა იმის გამო, რომ თითქმის ყველა უკუმამრთობის „ქამთაალმწერლობას“ მას ავალებენ, ასე გადაცხადა:

— ქართველებს ის დიდი მამულიშვილი რომ არ ჰყოლოდა, რომელმაც სიცოცხლის მეტი ნაწილი უცხოეთში გაგაცვალული ეროვნული განძის დაცვასა და პატრონობას შეალია და ბოლოს ხელუხლებლად სამშობლოს დაუბრუნა; ან ქვეყანაზე რომ არ არსებობდეს იგი, უსაზღველი, ვანელი გლეხკაცი, რომელიც მიხვდა, რომ მისი სახლის საძირკვლის ქვეშ ნაპოვნი განძი ერის საკუთრება იყო, ან რესპუბლიკის ახლანდელ ხელმძღვანელობას ძეგლისა და განძის დაცვის ასე ურყევი და უდრეკი პოზიცია არ ეკავოს, კაცი მწერლობაზე კი არა, ცხოვრებაზე აიღებდა ხელს.

მართლაც. სიგყვების რომელ თამაშზე და რომელ ჟურნალისგურ მიგნებებზეა ლაპარაკი, როდესაც წინაპართა ხსოვნისა და ახალი თაობების წინაშე დანაშაულის სიმძიმისაგან წელში იკაკვები, გული გიკვნესის და აზრი გებინდება!

ჰო, ჰოოო! ქვეყანას ვინ აქცევს, ისეთი რა ხდება, ხუთმილიონიან მოსახლეობაში ხუთი და ათი გარეწარი რომ გაერიოს, ეს რა საპანიკო და სავიშვიშოა!

მართალი ბრძანება იქნებოდა, რომ არა ეს. ეს და ეს...

...რომ ტლუ გარეწარს ზოგჯერ ხელი არ ეწყობოდეს მისი უგვანო ზრახვის განხორციელებაში.

...რომ საქმე განძეულის დაცვის ისეთი სისგემის უქონლობას არ ეხებოდეს, რომელიც განუმორებლობის რაღაც გარანგიად გამოდგებოდა.

...რომ საზოგადოებრივობა ერთსულოვანი, ერთნაირად მახვილი გულისყურით, გაფაცებულები თვალით შემართებული იყოს საქვეყნო, სახალხო, სარესპუბლიკო და საერო განძეულობის დასაცავად.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილ „დირექტორსაც“ ფონდების გადაბარების დროს ოთხმოცდათოთხმეტი ძვირფასი ექსპონატი — მეგზნოვი ვერცხლის ნაკეთობისა — და ორი ეგრაგი — აქედან ერთი მე-14 საუკუნის ხელნაწერი დაკლდა. მოსაპარად ხელჩანთაში პუდრსა და პომადასთან ერთად ასამდე უძველესი მონეტა და აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის 38 ხელნაწერი ედო!..

ყოველივე ამის შემდეგ ფონდის მცვლელს რაღას გადაბარალებდა, თუმცაღა ქურდობაზე თვითონაც რომ არ წაესწროთ, საკუთარი შვილის ხათაბრა გაბმაც არ ესურვებოდა. ალბათ, — იგი ხომ დედან შუზეუმის ხელმძღვანელად და „მეგზურმცოდნეობისად“ ჰყავდა საკუთარი ბრძანებით დანიშნული!

რაიონის პროკურატურამ დანაშაულს კვალიფიკაცია ვერ მოუძებნა (?!) და ბოროტება დაუსჯელი დარჩა. ან სად იყვნენ და რას ფიქრობდნენ ისინი, ვინც რეგიონალური განძთსაცავი ვიგინდარების ოჯახის ანაბარა მიატოვა, უპატიოსნო დედა-შვილს უკონტროლოდ მიაბარა?

„განძის“ შარშანდელ სვეტს, „კომუნისტს“ სხვა გამოსვლებსაც მკითხველები ცხოვლად გამოეხმაურნენ. სარედაქციო ფოსტის საერთო აზრი ერთ ასეთ ფრაზაში თავსდება: ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა პრობლემას თავი დავადგათო.

მაგრამ გამონაკლისიც რომ იყო, მახსენდება, „განძის“ გამოქვეყნების დღესვე რედაქციას ესაუბრა ფრიად პატივსაცემი პიროვნება, ერთ-ერთი რესპუბლიკური მუზეუმის თანამშრომელი, რომელსაც პირადად მართლაც დიდი დამსახურება მოუძღვის სამუზეუმო ქონების აღრიცხვის მოგვარებაში (ამიგომაც არ ვიხსენიებ გვარით). მობრძანდა და განაცხადა: აღუნუსხაობას ნურაფერს აბრალებთ, მკითხველი შეცდომაში ნუ შეგყავთო.

აბა, ვნახოთ, მართლაც ასეა?

აი ფინანსთა სამინისტროს, სახალხო კონტროლის კომიტეტის და რედაქციის მიერ მოკვლეული ზოგიერთი წლევანდელი მონაცემი.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში 1962 წლის ინვენტარიზაციის შედეგები 17 წლის განმავლობაში არ შეუფასებიათ, 17 წლის შემდეგ კი დადგინდა, რომ 270 ექსპონატი დაკარგულა. მათ შორის ძვირფასი ლითონის 41 ნაკეთობა: ხაფის ოქროს ჩარჩო, როდამ დედოფლის ოქროს ბეჭედი, ოქროს ჯვრები, ვერცხლის მედალიონი და სხვა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ბოლო ორი წლის 28 შემთხვევაში შემოწირული (მიაქციეთ ყურადღება— შემოწირული!) ექსპონატების მიღებაზე ქვითარი არ გაფორმეს და ჩამბარებელს ხელიც არ მოაწერინეს. მოსახლეობიდან ექსპონატების შესყიდვის 99 შემთხვევიდან მიღების მხოლოდ 53 ქვითარია გამოწერილი. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მუზეუმში 44 დასახელების ოქროს და 1031 საუკუნის ხელნაწერი დაკლდა. მოსაპარად ხელჩანთაში პუდრსა და პომადასთან ერთად ასამდე უძველესი მონეტა და აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის 38 ხელნაწერი ედო!..

ყოველივე ამის შემდეგ ფონდის მცვლელს რაღას გადაბარალებდა, თუმცაღა ქურდობაზე თვითონაც რომ არ წაესწროთ, საკუთარი შვილის ხათაბრა გაბმაც არ ესურვებოდა. ალბათ, — იგი ხომ დედან შუზეუმის ხელმძღვანელად და „მეგზურმცოდნეობისად“ ჰყავდა საკუთარი ბრძანებით დანიშნული!

რაიონის პროკურატურამ დანაშაულს კვალიფიკაცია ვერ მოუძებნა (?!) და ბოროტება დაუსჯელი დარჩა. ან სად იყვნენ და რას ფიქრობდნენ ისინი, ვინც რეგიონალური განძთსაცავი ვიგინდარების ოჯახის ანაბარა მიატოვა, უპატიოსნო დედა-შვილს უკონტროლოდ მიაბარა?

„განძის“ შარშანდელ სვეტს, „კომუნისტს“ სხვა გამოსვლებსაც მკითხველები ცხოვლად გამოეხმაურნენ. სარედაქციო ფოსტის საერთო აზრი ერთ ასეთ ფრაზაში თავსდება: ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა პრობლემას თავი დავადგათო.

მაგრამ გამონაკლისიც რომ იყო, მახსენდება, „განძის“ გამოქვეყნების დღესვე რედაქციას ესაუბრა ფრიად პატივსაცემი პიროვნება, ერთ-ერთი რესპუბლიკური მუზეუმის თანამშრომელი, რომელსაც პირადად მართლაც დიდი დამსახურება მოუძღვის სამუზეუმო ქონების აღრიცხვის მოგვარებაში (ამიგომაც არ ვიხსენიებ გვარით). მობრძანდა და განაცხადა: აღუნუსხაობას ნურაფერს აბრალებთ, მკითხველი შეცდომაში ნუ შეგყავთო.

კვლევის ეფექტი

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი 50 წლისაა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რესპუბლიკა ინდუსტრიალიზაციის გზას დაადგა. დაისახა სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების განვითარების დიდი პროგრამა. მისი გადაჭრა მოითხოვდა კომპლექსურ მიდგომას და ფიზიკურ-ქიმიურ და ქიმიურ-ტექნოლოგიურ კვლევას.

სწორედ ასეთ პირობებში, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით, პროფესორების ნ. მუსხელიშვილისა და გ. წულუკიძის ინიციატივით, ქიმიის პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზაციისათვის უკრაინიდან მოწვეული იქნა პ. მელიქიშვილის მოწაფე, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი ლ. პისარჟევსკი, რომელმაც თანამშრომლებთან ერთად დიდი მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობა გასწია. ასე ჩაეყარა საფუძველი ამჟამად პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტს — უძველეს სამეცნიერო-კვლევითს ცენტრს ქიმიაში, რომლის ორმოცდამეათე წლისთავს დღეს აღვნიშნავთ.

არსებობის მანძილზე ინსტიტუტის ზოგიერთი ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ქიმიური სკოლის ჩამოყალიბებაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა პ. მელიქიშვილმა.

ქიმიის მრავალი მიმართულების განვითარება ნაკარნახევი იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობის მოთხოვნებით. ამჟამად ინსტიტუტს აქვს განვითარებული სტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები.

ფიზიკური და ორგანული ქიმიის დარგში სამუშაოების მიზანია გამოიკვლიოს მყარი სხეულების ადსორბციული, კატალიზური და კოლოიდური თვისებები; მიიღოს და შეისწავლოს ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები და პლასტიკური მასების ახალი სახეები; დაამუშაოს ნავთობის კვლევის და იშვიათ მიწაელემენტების განსაზღვრის ახალი მეთოდები. ამ მიმართულებით მიღებულია თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვანი შენაძენია მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ითვალისწინებს ნავთობის, ნახშირების, შადნების, ალუმინსილიკატებისა და საქართველოს სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მახასიათებლების მიღებას.

საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ალუმინსილიკატებზე და სხვა მყარ სხეულებზე ადსორბციული, ქრომატოგრაფიული, კატალიზური და კოლოიდქიმიური პროცესების შესწავლით დადგენილია მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებურებები, რის საფუძველზეც რეკომენდდებულია ეფექტიანი ადსორბენტები, კატალიზატორები, სარჩულები, შემავსებლები, საბურღი ხსნარები.

განხორციელებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები საქართველოს ნავთობის მსუბუქი და მძიმე ფრაქციების შესასწავლად, ნავთობის ტექნოლოგიური თვისებებს დასახასიათებლად. დადგენილია ნავთობში არსებული ლუმინესცენციის უნარის მქონე ნივთიერებების ბუნება და ფოტოქიმიური რეაქციების წარმატებით გამოყენების შესაძლებლობა ნავთობის მაღალმოლეკულური ნაერთების შესასწავლად, ახალი პროდუქტების მისაღები ეფექტიანი მეთოდების დასამუშავებლად.

დამუშავებულია მრავალრიცხოვანი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სინთეზის მეთოდები. გაახორციელებულია ბუნებაში იშვიათი არგემონინის ტიპის ალკალოიდების და მათი წარმოებულების, აგრეთვე მილატონინის ანალოგების მიღება. სინთეზირებული და შესწავლილია კობალტის, ნიკელის და მანგანუმის შერეული კომპლექსნაერთების თვისებები და აღნაგობა.

შესწავლილია იშვიათი მიწაელემენტების ძნელად ხსნადი ფოსფატური, ოქსალატური და სხვა ნაერთების წარმოქმნის მექანიზმი ამ ელემენტების განსაზღვრის ახალი მეთოდების დასამუშავებლად და პერსპექტიული მასალების მისაღებად.

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე მიღებული მთელი რიგი შედეგები ინერგება სახალხო მეურნეობაში. წლითიწლობით მატულობს ინსტიტუტის მუშაობის ეფექტიანობა. ამ მიმართულებით, კერძოდ, 1979 წელს ყოველ დახარჯულ მანეთზე მიღებულია 3 მანეთზე მეტი დამოწმებული ეკონომიკური ეფექტი. დანერგილი სამუშაოებიდან აღვნიშნავთ რამდენიმეს. ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ „ნორიოლ-ა“ ორიგინალურ ლუმინოფორს, რომელსაც ექსპერიმენტული ბაზა ამზადებს, ჩვენი ქვეყნის 60-ზე მეტ ქარხანაში იყენებენ. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში ამუშავებულია პალენძის ფხვნილისა და მანგანუმის ანტიური ორანგის ავტოკლავურ-ჰიდრომეტალურგიული მიღების საცდელი საამქრო. მეთოდი დამუშავებულია არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტთან, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატთან და „ნიკელპროექტის“ ინსტიტუტთან ერთად და უზრუნველყოფს ბუნების დაცვის მოთხოვნებს.

ცეოლითშემცველი ტუფების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლის საფუძველზე რეკომენდებულია მათი გამოყენება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალ დარგში, ისინი უკვე დანერგილია სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში, როგორც ეფექტიანი გამმრობები, წარმატებით მიმდინარეობს მათი გამოცდა მრეწველობაში, ფრინველებისა და ცხოველების საკვების დანამატად და სხვა.

შექმნილია სოფლის მეურნეობის მავნებლების საწინააღმდეგო ახალი ეფექტიანი პრეპარატები: პლკ, ხელატები, „კეიმი“. მათი გამოყენებით უკვე მიღებულია დიდი ეკონომიკური ეფექტი. შემუშავებულია ფრინველთა საკვების მაღალკალორიული ინგრედიენტის მიღების ტექნოლოგია.

ინსტიტუტს ფართო კონტაქტები აქვს რესპუბლიკის და მთლიანად საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებთან და რიგ ინსტიტუტებთან, იგი მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი და მონაწილეა. ფართოვდება კავშირი საზღვარგარეთის სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან. მომავალში დასახულია ერთობლივი სამუშაოების შესრულება ბულგარულ, გერმანულ და კუბელ მეცნიერებთან. ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოები აღნიშნულია სახელმწიფო და რესპუბლიკის აკადემიის პრემიებით. მომზადებულია 150-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატი და დოქტორი. ინსტიტუტში მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამი აკადემიკოსი და ერთი წევრ-კორესპონდენტი.

ინსტიტუტის კოლექტივი მუდამ ეწმნობა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობას. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის I პარტიულიროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. შევარდნაძე პირადად გაეცნო ინსტიტუტის საქმიანობას. არსებობს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დადგენილებები ინსტიტუტში ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გასაფართოებლად და სახალხო მეურნეობაში ეფექტიანი შედეგების დანერგვის დასაჩქარებლად.

ინსტიტუტის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, მთელი კოლექტივი ყველაფერს იღონებენ, რათა უფრო მეტად განავითარონ ქიმიური მეცნიერება, დაჩქარონ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და სრულყონ სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა XXV კონგრესისა და საქართველოს კომპარტიის XXV კონგრესის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად.

გ. ციციშვილი,
პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გაიმარჯვა ბუნების სიყვარულმა

თბილისში დამთავრებული ყვავილების დღესასწაულის უკანასკნელი აკორდი იყო ექსპოზიცია, რომელიც მოეწყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ავტორიტეტულმა ჟიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები.

თბილისის ბოტანიკური ბაღის ექსპოზიცია შეიცავდა 150 თაიგულს, რომლებიც შექმნილი იყო ჰიბრიდული ვარდების, იშვიათი სახეობის ტიტების, ველური ფლორის მცენარეებისაგან. გმოვნებით გააფორმეს კუთხე თბილისის საბაზო სანერგის მუშაკებმა. ეს მეურნეობა ქალაქისათვის ყვავილების მთავარი მიმწოდებელია. მარტო „თბილყვავილაჟრობის“ სანტორამ ორი სადღესასწაულო დღის მანძილზე გაყიდა დაახლოებით ასი ათასი ყვავილი.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეყვავილეობაში ასეთი მაღალი მაჩვენებლებისათვის არასოდეს არ მიუღწევია. ამაზე მეტყველებს მისთვის გაწეული დიდი ნდობა — მოსკოვის ოლიმპიადას გაუგზავნოს 60 ათასი მიხაკი.

ჟიურიმ გამოაცხადა კონკურსის შედეგები. ოცი სანმუშო სკვერის მოწყობისათვის ქალაქის ცხრავე რაიონი დაჯილდოდა პირველი ხარისხის დიპლომებით. ასეთივე ჯილდოები ყვავილეთის საუკეთესო ექსპოზიციისათვის მიენიჭათ: თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს, თბილისის ბოტანიკურ ბაღსა და საბაზო სანერგეს, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროებს, ცეკავშირის, პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, ორჯონიკიძისა და კიროვის რაიონების გამწვანების კანტორებს. მეორე ხარისხის დიპლომები გადაეცათ ლენინის, გლდანის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების კანტორების მუშაკებს.

ჟიურიმ პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით აღნიშნა აგრეთვე ყვავილებისა და კაქტუსების საუკეთესო კოლექციები.

ექსპერიმენტი თბილისში

ახალი სახლი შენდება საბურთალოში, ნუცუბიძის პლატოზე. გარეგნულად ეს 16-სართულიანი კოშკი არაფრით არ გამოირჩევა ჩვეულებრივი კარკასულ-პანელიანი შენობებისაგან. მისი არაჩვეულებრიობა იმაშია, რომ მას შეუძლია გაუძღოს 8-9 ბალი ძალის მიწისძვრას, ამავე დროს აქვს მთელი რიგი არსებითი ტექნოლოგიური ღირსებანი. ამ სახლის შექმნაში მონაწილეობს თბილისის ზონალური ექსპერიმენტული დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამპროექტებელთა და რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფი.

— სახლის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი სწრაფად შენდება, — თქვა ამ სპეციალისტ ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა მ. ბედიაშვილმა. — ამას უმთავრესად ვაღწევთ შესადუღ სამუშაოთა შემცირების გზით. მაღალი სიმტკიცის არმატურა ყველა ასაწყობ ელემენტშია, და მისი შეერთების გზით წარმოიქმნება მონოლითური კონსტრუქცია. ამ მეთოდის გამოყენება აძცირებს ძვირად ღირებული ლითონის ხარჯვას, ცალკეული ელემენტების რიცხვს.

ეს ექსპერიმენტი პირველად ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში. მომავალში ასეთი სახლები სერიულად აშენდება. (საქინფორმი).

იაპონელი ჟურნალისტები თბილისში

ახალი ამბების საბჭოს მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი იაპონელი სპორტული ჟურნალისტი ქალი იოკო მიცუია და ფოტორეპორტიორი ტახსი ცუნოდა. ორივე ჟურნალისტი იაპონური ილუსტრირებული ჟურნალის „სპორტ გრაფიკ ნამბას“ დავალებით ამზადებენ ვრცელ მასალას სპორტულ თბილისზე. იაპონელი ჟურნალისტები გუშინ მიიღო თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გ. ყირმიზაშვილმა. მან სტუმრებს გააცნო თბილისელ სპორტსმენთა მიღწევები საკავშირო, უცხოეთისა თუ ოლიმპიურ სარბიელებზე, უამბო თბილისის სპორტულ ბაზებზე, ბავშვთა სპორტულ ცხოვრებაზე.

იაპონელმა ჟურნალისტებმა თავის მხრივ პასუხი გასცეს თბილისელ ჟურნალისტთა შეკითხვებზე. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ აფასებს ქალბატონი იოკო მიცუია იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარის თქმის თაობაზე, ასეთი პასუხი გასცა:

— **ჩემი პირადი შეხედულებით ეს ყოვლად დაუფიქრებელი და უფრო მეტიც, უგუნური გადაწყვეტილება გახლავთ. როგორც გავიგე, ოლიმპიადის კარი ჯერ კიდევ ღია და იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტს კიდევ აქვს შესაძლებლობა თავისი გადაწყვეტილება გადასინჯოს.**

გუშინდელი დღე იაპონელმა სტუმრებმა დაუთმეს დედაქალაქის სპორტული ბაზების გაცნობას, ესაუბრნენ სპორტსმენებს.

ბ. ჩხაიძე.

სურათზე: იაპონელი ჟურნალისტები ი. მიცუია და ტ. ცუნოდა თბილისის ლენინური კომკავშირის წყალჯომარდობის კომპლექსის დათვალიერებისას.
ს. კილაძის ფოტო.

ყაბანი

გუშინ, დღეს, ხვალ

გუშინ მოსკოვში გამართული „ლოკომოტივისა“ და მინსკის „დინამოს“ მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტური. ეს შეხვედრა დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით—1:0.

დღეს მეცხრე ტურის შვიდი მატჩი მოეწყობა. კიევის „დინამო“ მასპინძლობს „ნეფთჩის“, „ჩერნომორეცი“ — „ფაზანალოვსკის“, „შახტიორი“ — „ყირიათს“, „ზენიტი“ — „სპარტაკს“, ცსკა — მოსკოვის „დინამოს“, როსტოვის არმიელთა გუნდი — „არარატს“, ხოლო „კარპატი“ — თბილისის „დინამოს“.

საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამო“ და „კარპატი“ ერთმანეთს სულ 14-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა 7 მატჩი მოიგეს, 5 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და 2 წააგეს. ბურთების სხვაობაა 24-11 თბილისელთა სასარგებლოდ.

ხვალ მეცხრე ტურის ბოლო მატჩი გაიმართება. „ტორპედო“ საკუთარ მინდორზე მიიღებს „ყუბანს“.

ინგლისელთა გამარჯვება

ინგლისის ჭაბუკთა ნაკრებმა დაამარცხა რა გადამწყვეტ შეხვედრაში გდრ-ის გუნდი, ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატის ოქროს მედლები დაისაკუთრა.

ავთა კაცთა ავი საქმე

ჩვენს დროში წიგნის წასაკითხავად დამჯდარ კაცზე უფრო სასიამოვნო სანახავი რა არის! ეს ხომ ცოდნის მოყვარული, მშრომელი, შემოქმედი კაცის პოზაა! მაგრამ გაგიგონიათ წიგნი ვინმეს საკაკოდ გამოეყენებინოს?

არაო, იტყვის უმრავლესობა.

როგორ არა, არიან თურმე. ახლავე გაგაცნობთ ერთ ასეთ პიროვნებას. ეს განლავთ დადამ დაავითის ძე ქურდიანი. ორმოცე წელს გადაცილებული კაცი, უცოლშვილო, საშუალო განათლების, მესტიის რაიონის სოფელ მულახის მკვიდრი, იქ დაბადებული და გაზრდილი.

ამ რამდენიმე წლის წინათ მას როგორღაც ხელში ჩაუვარდა 1974 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი ი. კუზნეცოვის „ზემო სვანეთი“.

ამ პატარა წიგნმა მოსცვენება დაუკარგა დადაშს, ერთთავად სულ ხელში ეჭირა და უჩვეულო გულმოდგინებით ჩაკერკიტებდა. წიგნის კითხვა მისი საყვარელი საქმიანობა არ იყო, მაგრამ ცუდი რა უნდა ეფიქრათ: კაცს სამშობლო კუთხის წარსული, წინაპართა ცხოვრების ამბავი აინტერესებსო.

ვინ რა იცოდა, თუ რა აკი ზრახვა ედო გულში!

თავის ბნელი სიფუძლო მან პირველად ვინგელი კონსტანტინეს ძე რატიანის გაანდო. თუმცა იგი მისი ტოლი არ იყო, ზაგრამ იცოდა ამ ჭაბუკს „ვირის აბანო“ ყმაწვილობაშივე ჰქონდა გამოვლილი და „ამგვარ“ საქმეებში გამოცდილ-გაწაფული იყო.

— ეი, შენ, ჯიხვო, მოდი აქა! — დაუძახა ერთხელ მან რატიანს, მესტიაში რომ ნახა, — წაგიკითხავს ეს წიგნი?

— აბა, რა წიგნია? — გაკვირვებული მიბრუნდა ჭაბუკი, თან ულვაშებში ირონიულად ეღიმებოდა, იცოდა რა მწიგნობარიც იყო ქურდიანი.

დადაშმა საიდუმლოსავით ამოაცოცა წიგნი ჯიბიდან და აჩვენა.

— ერთი შენც!.. რაში მაინტერესებს?

— სულელი ხარ.. იცი, რა წერია ამ წიგნში?

— რა უნდა ეწეროს!.. აქაური ვარ და ზემო სვანეთი მაგრუსს ჩემზე უკეთ ეცოდინება?

— შენ ჭუჭრში ზიხარ, არაფერი არ გაგიგია ამ ცხოვრებისა, — ქურდიანმა წიგნი გადაშალა და შიგ ჩართული სურათი აჩვენა, — იცი რა არის ეს?.. „თარინგზელის“ ეკლესიაში ყოფილხარ, სოფელ ლარჩვალში? გინახავს წმინდა გიორგის ეს ხატი?

— არა, არ მინახავს, ეკლესიებში არ დავდივარ.

— არ დადიხარ და უნდა იარო შვილო! — რაღაც უცხო ინტონაციით, ნიშნის მოგებით უთხრა ქურდიანმა, — იცი რა ღირს ეს ხატი? ხუთი ათასი მანეთი, იქნებ ათი ათასიც, მუშტარს ვაიჩნია. მეთერთმეტე საუკუნის არის.

— ვაა! — უცებ აზრზე მოვიდა რატიანი და წიგნს გამოართვა, — აქ წერია ეგა?

— აბა, შენ რა გეგონა! ამისთანა ძვირფასი ხატები და ჯვრები კიდევ რამდენია სვანეთის ეკლესიებში, ვინ მოთვლის?!

ახლა უკვე სავსებით ნათელი გახდა ვინგელი რატიანისათვის, საითაც ურაკულნებდა ქურდიანი.

„საოფიანი საქმეა, მაგრამ სარისკოაც“, — გაიფლო მან გულში და ჩაფიქრდა.

— მერედა, ხომ იცი, კომუნისტებს მაინცდამაინც არ ეპატაგებათ ეს შენი მოგდლები და ეკლესიები... მაღევარი არავინ გვეყოლება, თავს არ გამოიდებენ, — თითქოს ფიქრს მოუხვდაო, თქვა დადაშ ქურდიანმა.

— კი მაგრამ, ნაქურდალი სად უნდა გავასაღოთ? ხატისა და ჯვრის მუშტრის მოვნა ადვილი ხომ არ გგონია შენ!

— მაგაზეც ვიფიქრე. ოთარ ზურაბიანი უნდა მოვნახოთ.

— აბა, რომელი ოთარი?

— პატარა სოფელი ტკბილი რომ არის, ჩოლურს ზემოთ, ხომ იცი, ლენტეხის რაიონში, იქაურია, ქუთაისში გადასახლდა, მაგრამ მისამართი ვიცი, კლდიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობს.

— მაშინ რაღას ვუყურებთ, ვნახოთ ზურაბიანი და შევუდგეთ საქმეს, — ეტყობა 'რატიანს ჭკუაში დაუჯდა ქურდიანის წინადადება და უკვე ჩქარობდა.

— ერთი კაციც გვჭირდება მანქანიანი.

— ჰო, მართალია, მანქანა საჭიროა. სანდო კაცი გვინდა.

— ვაჟა ჯაფარიძეს რომ გაუტყუდეთ?...

— ვაჟა?...

— შოფერზე გეუბნები, აი, გარიგალდას რომ ეძახიან, მესტიის ავტოსატრანსპორტო კანტორაში მუშაობს. მსუბუქ ავტომანქანაზე ზის.

— ვიცი, ვიცი... თუ დაგვთანხმდა, უკეთესს ვისა ვიპოვიო! ვაქაკაცი კაცია.

— დაგვთანხმდება, — მტკიცედ და დაჯერებით თქვა დადაშ ქურდიანმა, ეტყობოდა, თავისი ზეგავლენის იმედი ჰქონდა.

საგანგებოდ და საგულდაგულოდ შერჩეულ-შეხმატკბილებულმა ამ ოთხეულმა 1976 წლის ზაფხულში ყველაფერი ისე განარიგა და განასრულა, როგორც განზრახული და დაგეგმილი ჰქონდათ: დ. ქურდიანმა, ვ. რატიანმა და გ. ჯაფარიძემ პირწმენდად გაძარცვეს ჩუბარის, ლარჩვალის და ლახირის ეკლესიები და დაიტაცეს ძვირფასი ხატები და ჯვრები, რომელთა საერთო ღირებულება 100 ათას მანეთს უდრის, ო. ზურაბიანს კი ამ ნაქურდალის გასაღება მიანდეს. მისი თაგვმოდებული მეცადინეობით მალე გასაღეს კიდეც ნადავლი. 21 ძვირფასი ხატიდან და ჯვრიდან ორი ხატიღა გადარჩა შემთხვევით და ეკლესიას დაუბრუნდა. დანარჩენი „გაყიდულია გამოძიების მიერ დაუდგენელ პირებზე“.

ეს ნაშრომი, რომ დაკარგულია დიდი ეროვნული განძი და მისი ბოვნა მომავალშიც საეჭვოდ და საეგებიოდ არის გამხდარი.

ახლა ბარემ ისიც ვთქვათ, რა განძია ეს. წელან სტატიამ მოიტანა და გითხარით, 100 ათას მანეთად შეფასეს-მეთქი მთელი ნაქურდალი ქონება.

კანონს, მართლმსაჯულებას სიზუსტე უყვარს, გამოძიებას დასჭირდა და ექსპერტები იძიებენ ფასი დაედო მოპარული ნივთებისათვის, თორემ განა ფულით შეიძლება შეფასდეს ამ ავაზაკების მიერ ჩვენი ეროვნული კულტურისათვის მიყენებული ზარალი?! ეს ხომ XI-XIII საუკუნეების უნიკალური ხატები და ჯვრები იყო, ძველ ოსტატთა ხელოვნების ნიმუშები. ეს ის განძია, რომელიც საუკუნეთა ქარტეხილებში გამოატარეს ჩვენმა მრავალტანჯულმა წმინაპრებმა და აქამდე შემოგვინახეს; ეს ის განძია, რომელიც გადაურჩა არაბობას, მონღოლობას, დიდ თურქობას, მრავალ ლაშქარს და ურდოს, ხანსა და სულთანს, შაჰსა და იმპერატორს, სამტროდ და სამეკობროდ მოსულ ათას ძაღლსა და მამაძაღლს.

და აი, დღეს, როცა მრავალი საუკუნის შემდეგ, როგორც იქნა, თავისუფალ და მშვიდობიან ცხოვრებას ვეწეოთ, ჩვენს თვალწინ, ჩვენივე ერის შვილებმა მოგვტაცეს და გაგვიყიდეს წინაპართა ნაღვაწ-ნაამაგარი, ის, რაც ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ფურცლებს შეადგენდა.

ჩვენდა საბედნიეროდ ეს შემთხვევა გამონაკლისი არ არის. სხვაც ვიცით ჩვენი მუზეუმებისა და ეკლესიების გაქურდვის აღმაშფოთებელი ფაქტები, ზნორად ეკლესიებში დაცული ეროვნული განძის თვით „სულიერი მამები“, ხუცესის ანაფორას ამოფარებული ავაზაკები ბანაობენ. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ დადგა დრო ჩვენი ეროვნული საუნჯე უფრო უსაფრთხოდ და უშიშრად, ხელშეუხებლად ინახებოდეს, რადგან სამშობლოს განძსა და დოვლათს, მის ცასა და მიწას ვ